# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 აგვისტო, 2011 წელი.

№148 (6759)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## საქართველოს ხელისუფლებამ დევნილთა იძულებით გამოსახლება უნდა შეწყვიტოს! ⑤

AMNESTY INTERNATIONAL

## ჩანს, მთავრობა დაგვეღალა!..

ხალხზე დღენიადაგ მზრუნველი ჩვენი მთავრობა მართლაც დაღლილი რომ არ იყოს თავაუღებელი მუშაობით, როგორ ფიქრობთ, გუშინდელი მთავრობის სხდომა განა გადაიდებოდა?!

არადა, ზოგიერთს რომ ჰკითხო, ჩვენი მთავრობის წევრები სულ ტყუილად იღებენ ამხელა ხელფასებს და თანაც კიდევ ორ ამდენ პრემიებსო. შავ მერსედესებსა და მრავალსართულიან ვილებზე ალარაფერს ვამბობთო...

არც ეგრეა, ბატონებო, საქმე!

დროდადრო მთავრობაც იღლება... უსაქმურობით... ვინაიდან და რადგანაც თვითონ ხელშესახები რამე საქმე წამლადაც არ ჩანს!




③

## მართლაც, გზას არ ასცდნენ...

შოვინიზმის სარკეში

## ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ!

## ეს ინფორმაციები ეკლესიაში შფოთის შემოტანისა და მისი დასუსტების მცდელობაა

საქართველოს საპატრიარქო სინოდის წევრებთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციებს უარყოფს და საზოგადოებას მოუწოდებს, ის არ დაიჯეროს.

— ბოლო დროს ინტერნეტის და პრესის საშუალებით წმიდა სინოდის წევრებთან დაკავშირებით შეურაცხმყოფელი და არასწორი ინფორმაციები ვრცელდება. ეს არის ზოგიერთ შემთხვევაში მიზანმიმართული, ზოგჯერ კი გაუცნობიერებელი ქმედება, რომელიც, საბოლოო ჯამში, ხალხის დაბნევას და მრევლში უნდობლობის დანერგვას ემსახურება, — ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველოს საპატრიარქო მიმართავს საზოგადოებას, არ აყვნენ ასეთ ქმედებებს, „რადგან იგი ყურადღების სხვაგან გადატანის, ეკლესიაში შფოთის შემოტანის, მისი დასუსტების მცდელობაა“.

**მამუკა არეშიძე:**

## სააკაშვილს კი არა, უარესსაც დაელაპარაკებიან, თუ გარემოება მოითხოვა ②

**ედუარდ კოკოითი:**

## სამხედრო ბაზების შესახებ ხელშეკრულებების რატიფიკაცია ქართველების ოცნებებს რევანშზე ბოლოს მოუღებს ②

## „დიდი სომხეთი“ („ველიკაია არმენია“) — სწორედ სიგმრაღნანახ ამ ტერიტორიებს მისტირიან სომხები დღესაც... ⑥




⑦



⑧

## ომის ხუთი დღე: მკაცრი კონფლიქტი უგმიროდ



⑩

## ანტონ სიხარულიძემ რუსი ოლიგარქის ქალიშვილზე იქორწინა

## მერაბიშვილის უწყებაში დასცხათ, არადა ერთობ გრილი აგვისტოა... ④

**დღის ფრაზა**

ლოზუნგი: „ძირს კორუფცია!“ ექსტრემისტულია, რადგან არსებული ხელისუფლების დამხობისკენ მოგვიწოდებს.

**იურიდიული კონსულტაცია**

## სამკვიდრო და სამკვიდროს გახსნა ⑨



## აქტუალური ინტერვიუ

**ომი დასრულდა? დასხდებიან თუ არა მხარეები მოლაპარაკებების მაგიდასთან, სადაც საკითხების რეალურად გადაწყვეტა დაიწყება? უნდა აღიაროს თუ არა საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა და თავად აფხაზეთში რას ფიქრობენ ამის შესახებ? სადაა გამოსავალი და რამდენად რეალისტური ან უტოპიურია ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება?.. ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თითქმის ყველა კითხვას სცემს პასუხს, რომელიც ქართულ საზოგადოებას სამი წლის განმავლობაში დაუგროვდა და ახლაც აინტერესებს. ინტერვიუში ექსპერტი სააგენტოსთან ექსკლუზიურად საუბრობს იმაზე, თუ რა უპასუხეს კულუარულად მის სკანდალურად ცნობილ ინიციატივას იმ აფხაზებმა, რომელთა აზრი პირადად მას ძალიან აინტერესებდა. ექსპერტის შეფასებით, ყოველივე ეს ყურადსაღები ქართული საზოგადოებისთვისაც უნდა იყოს...**



# მამუკა არეშიძე:

# სააკაშვილს კი არა, უარესსაც დაელაპარაკებიან, თუ გარემოებამ მოითხოვა

**— 2008 წლის აგვისტოს ომიდან სამი წელი გავიდა. როგორ შეაფასებდით განვლილ სამ წელს და რა მდგომარეობაშია დღეს საქართველო?**

— ძალიან მძიმე სამი წელი განვვლეთ და ღმერთმა დაგვიფარა ომის შემდგომი გაგრძელებისგან. თუმცა ესეც პირობითი ნათქვამია, რადგან დღემდე ადამიანებისთვის, რომლებიც ბუფერულ ზონებში ცხოვრობენ, ომი არ დამთავრებულა — ისინი იბრძვიან სიცოცხლის გადასარჩენად.

რაც შეეხება პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ან თუნდაც დაკარგულის დაბრუნებას... ამ თვალსაზრისით, ერთადერთი სერიოზული პოზიტივი, რომელიც გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში, ეს საქართველოს ხელისუფლების ახალი სტრატეგიაა ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან სალი დოკუმენტია, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ მუშაობს.

**— თქვენი აზრით, რატომ მუხრუჭდება ამ გეგმის რეალიზება, რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ და რას არ აკეთებს?**

— გეგმა, თავისთავად, ძალიან კარგია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც თვითონ ამბობს, თანხის უქონლობის, დონორების ფეხის ათრევის გამო თუ სხვა მიზეზით, ძალიან ბევრი დრო დაკარგა, რომ ეს გეგმა აემუშავებინა.

ჩვენი მოწინააღმდეგე კი გაჩერებული არ არის. მან თვითონ მოიკლო და უზარმაზარი თანხა გამოყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისთვის. თან ეს თანხა ძალიან კარგადაა გაწერილი — მასში იგულისხმება ინფრასტრუქტურის აღსადგენი, სოციალური პრობლემების მოსაგვარებელი და მოსაპარი ფული.

მოსაპარ ფულში ელიტის მოსასყიდი თანხა იგულისხმება. ეს თანხა ყველაზე ეფექტურად იხარჯება და ელიტაც, შესაბამისად, არის კორუმპირებული.

**— ამ პირობებში რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ?**

— 2008 წლამდე ჩვენ, დასავლელ პარტნიორებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში აქტიურად ვმონაწილეობდით. იყო საომარი რიტორიკა, მაგრამ იყო სხვა ნაბიჯები, რომლებსაც ეფექტური ნაბიჯები შემიძლია ვუწოდო. დღეს ისეთ სიტუაციაში ვართ, რომ ამ პროცესში თითქმის აღარ ვმონაწილეობთ და მონაწილეობენ მხოლოდ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, ანუ პროცესები ჩვენ მიღმა ვითარდება.

ეს იმიტომ ხდება, რომ რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენ ამ თამაშიდან გამოვეყვანეთ. ჟენევის პროცესი, დვანისა და გალის პროცესები — ეს არ არის იმ ტიპის პროცესები, რომლებიც სიტუაციას რადიკალურად შეცვლის. ეს არის პრევენტული პროცესები — საჭირო, მაგრამ არა გადამწყვეტი.

როდესაც ვეკითხები ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რა ეშველება ამ სიტუაციას და როგორ შეიძლება ეს ყველაფერი შეიცვალოს, ძირითადად, აზრი არის ასეთი — „აი, დასავლეთი, ცოტა ხანში ნახეთ რუსეთს რას უზამს“ — ანუ ჩვენი როლი აქაც არ ჩანს. მხოლოდ ერთი აქტიურობა, რომელიც ჩანს ჩვენი ხელისუფლების მხრიდან, ობიექტური აქტიურობა — ეს არის პასპორტების თემა. რასაკვირველია აიღებენ — რაც უნდა ილაპარაკოს ოფიციალურმა სოხუმმა და ოფიციალურმა ცხინვალმა, განსაკუთრებით კი სოხუმმა, არიან უკვე ადამიანები, რომლებსაც ამ პასპორტების აღების სურვილი აქვთ.



**— ანუ ამ პასპორტებთან დაკავშირებით თქვენი აზრი დადებითია...**

— ნაწილობრივ კი, მაგრამ ამას არ აქვს ისეთი რეზონანსი, რომელსაც ელოდებოდა ხელისუფლება. ეს არის ობიექტური რეალობა — ამ მიმართულებით ხელისუფლება მუშაობს. კიდევ ერთი, რა მიმართულებითაც მუშაობს ხელისუფლება, ეს არის სუბიექტური რეალობა — ეს არის ჯანდაცვის კუთხით მუშაობა. ეს სუბიექტური იმიტომაა, რომ ხალხი საზღვრის იქით უაღრესად რთულ პირობებში ცხოვრობს. სოხუმის ხელისუფლება თვალს ხუჭავს იმაზე, რომ უამრავი ადამიანი გადმოდის აქ და მკურნალობს. მათმა რაოდენობამ უკვე ათასს მიაღწია.

ცხინვალში კი ამ პროცესს, მაქსიმალურად ხელს უშლიან. სოხუმის ხელისუფლება კი, რომელიც ყოველივე ამას „არ იმჩნევს“, მიაჩნია რომ ამ გზას ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში არსებობის უფლება აქვს.

იხ. 4 გვ.

## ესლა გვაკლდა!

### საბავშვო ბაღებში გადასახადი 50-70 ლარი იქნება

ახალი სასწავლო წლიდან საბავშვო ბაღებში გადასახადი 50-70 ლარი იქნება. ამის შესახებ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ განაცხადა.

ქაცარავა „ლეიბორისტების“ განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ 100 ლარი, როგორც ამას შრომის პარტიის წევრები ამტკიცებენ, გადასახადის სახით არც ერთ მუნიციპალურ ბაგა-ბაღში არ დაწესდება.

### ლეიბორისტები თავისას ამტკიცებენ

ბაგა-ბაღების თვითდაფინანსების გადაწყვეტილებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ქართველები არ გამრავლდნენ. ამის შესახებ „ლეიბორისტების“ ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ თბილისის საკრებულოსთან განაცხადა და აღნიშნა, რომ ეს არის ბავშვთა მოძულე პოლიტიკა, რადგან 100 ლარი თითოეული ოჯახისთვის მძიმე ტვირთი იქნება.

„ლეიბორისტები“ მოვუწოდებთ უგულავას და მის მონა-მორჩილ საკრებულოს უმრავლესობას, დაუყოვნებლივ გააუქმოს ბავშვთა მოძულე ეს გადაწყვეტილება, — აღნიშნა ჯიბლაძემ და განმარტა, რომ როდესაც მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერი იყო, მაშინ „ლეიბორისტული პარტია“ იბრძოდა იმისთვის, რომ ბავშვებს ჰქონოდათ უფასო სკოლამდელი აღზრდა.



**— ჩვენ ბევრი ვიბრძოლეთ იმისთვის, რომ თავის დროზე ბავშვებს უფასო ჰქონოდათ სკოლამდელი აღზრდა-განათლება. როდესაც მიხეილ სააკაშვილი გახდა საქართველოს პრეზიდენტი, მან ჩვენ შვილებს გენოციდი მოუწყო, — განაცხადა „ლეიბორისტების“ ერთ-ერთმა ლიდერმა.**

## ვითომ გაამართლებს?

### ამოქმედდა საგადასახადო ოფიცრის ინსტიტუტი

**შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, დღეიდან, უბნის საგადასახადო ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედდა. შემოსავლების სამსახურის, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლის ანა გოგიჩაძის განმარტებით, საგადასახადო ოფიცრის მთავარი მოვალეობა გადამხდელების დახმარება და პრობლემების მოგვარების კუთხით, კონსულტაციის გაწევა იქნება.**

— საგადასახადო ოფიცრები უბნების მიხედვით იქნებიან გადანაწილებული. ისინი ყოველდღიურად ფეხით ან საჯარო ტრანსპორტით შემოივლიან უბანს, შეხვდებიან გადამხდელებს და საჭირო დახმარებას გაუწევენ. კონსულტირების პარალელურად, უბნის საგადასახადო ოფიცრები მეწარმეებს შემოსავლების სამსახურში მიმდინარე რეფორმებსა თუ სიახლეებსაც გააცნობენ, — აცხადებს გოგიჩაძე.

შემოსავლების სამსახურში განმარტავენ, რომ გადამხდელებს ხშირად უჩნდებათ შეკითხვები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. ამიერიდან კი პასუხების მიღება და სხვადასხვა ტიპის პრობლემის გადაჭრა ობიექტიდან გაუსვლელად იქნება შესაძლებელი. უბნის საგადასახადო ოფიცრის დახმარებით, რომელიც უახლესი ტექნიკით იქნება აღჭურვილი, გადამხდელებს ადგილზევე შეეძლებათ რამდენიმე მომსახურების მიღება, რაც აქამდე მხოლოდ სერვის ცენტრებში იყო შესაძლებელი. გარდა იმისა, რომ უბნის საგადასახადო ოფიცრები თავად მივლენ გადამხდელებთან, თითოეულ მეწარმეს ექნება მათი ტელეფონის ნომერი.

აღსანიშნავია, რომ უბნის საგადასახადო ოფიცრის ფუნქციაში არ შედის მოქალაქეთა დაჯარიმება. ის ორიენტირებული იქნება მხოლოდ მეწარმეთა კონსულტირებაზე.

ჯი-ეიჩ-ენი

## რუსეთის ძალა ალმართს ხნავს

### ედუარდ კოკოითი: სამხედრო ბაზების შესახებ ხელშეკრულებების რატიფიკაცია ქართველების ოცნებებს რევანშზე ბოლოს მოუღებს

**„აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული სამხედრო ბაზების შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია სრულ სიცხადეს შეიტანს ამ რესპუბლიკებში რუსი სამხედროების ყოფნის საკითხში და იმედი მაქვს, ბოლოს მოუღებს ქართველ და დასავლელ პოლიტიკოსთა აზრებს, რომლებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ოკუპირებულ ტერიტორიებს უწოდებენ“, — აცხადებს ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი და ასევე იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული შეთანხმებების რატიფიკაცია ასევე „ბოლოს მოუღებს ქართველი „ქორების“ ოცნებებს სამხედრო რევანშზე“.**

**ამას გარდა, ოს სეპარატისტთა ლიდერი კიდევ ერთხელ მოითხოვს თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმებას და აცხადებს, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის მიმდინარეობდა.**

**„ომი იყო აგრესორ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის და ამის გადაყვანა რუსულ-ქართული ურთიერთობების სიბრტყეში — არასწორია. რუსეთი თავის ვალს ასრულებდა, რომელიც მან 1992 წლის დაგომისის ხელშეკრულებით იკისრა“, — აცხადებს კოკოითი.**

ჯი-ეიჩ-ენი

კომენტარი

# მართლაც, გზას არ ასცდნენ...

## კონსტანტინე ზატულინის ინტერვიუს პასუხად



**საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა (1990 წლამდე) მდივანმა, ამჟამად „ერთიანი რუსეთის" პარტიის წევრმა, რუსეთის დუმის (პარლამენტის) დეპუტატმა, მართლმადიდებლურ საპარლამენტაშორისო ასამბლეაში საერთაშორისო საქმეთა კომისიის თავჯდომარემ, დსთ-ს („ესენგეს") ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორმა, „აფხაზეთის საპატიო მოქალაქემ" კონსტანტინე ზატულინმა უპასუხა „ლიტერატურნაია გაზეტას" (6-12 ივლისი, 2011წ., ტ 27) შეკითხვებს. მასალა გამოქვეყნდა სათაურით „გზას არ ასცდნენ".**

უზარმაზარ საგაზეთო მასალაში ჟურნალისტმა მოახერხა მხოლოდ სამი შეკითხვის დასმა. ამიტომ „გზას არ ასცდნენ" უფრო ზატულინის მონოლოგია, ვიდრე ინტერვიუ. ეს გასაგებიც არის, ამდენი რეგალიების და ასეთი წარსულის პერსონა არ არის შეჩვეული ადამიანურ საუბარს, კითხვა-პასუხს, აზრთა გაცვლა-გამოცვლას. ინტერვიუ ხომ თავისი მოწოდებით ერთგვარი საუბარია, სადაც დასმული კითხვები გამიზნულად მაპროვოცირებელიცაა და საუბარში ხალისის შემტანიც.

ასეთ გზაგამოვლილს და ამასთანავე დღევანდელი რუსეთის პოლიტიკური სტილისტიკის ერთ-ერთ შემქმნელს, რაღაცაზე პასუხი და მით უმეტეს პროვოცირების მოთმენა არ ეკადრება — მონოლოგი და მხოლოდ მონოლოგი! რახან ასეა, დავიწყებ მისი ციტირებით.

**„მხოლოდ რუსეთის მიერ აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენობის ცნობით აფსნის დამოუკიდებლობა გახდა შეუქცევადი".** ამას თანამედროვე პოლიტიკოსი ნამდვილად ვერ იტყოდა — ბრეჟნევის დროინდელ ლოზუნგს უფრო წააგავს — ალბათ, კომკავშირული წარსული და კრემლის ყრილობათა დიდი სასახლის ტრიბუნა გაახსენდა ზატულინს. იმ დროს ცენტრალურ კომიტეტს არ აინტერესებდა მსოფლიოს პოზიცია — პოლიტბიურო თავისსას მიერეკებოდა — ასეთი „ფუფუნების" შესაძლებლობა „ბოროტების იმპერიისთვის" მაშინ არსებობდა. ახლა სულ სხვა პირობებია და ზატულინი კატასტროფულად „გაიჩხირა" წინა საუკუნეში. დავაკვირდეთ ამ ციტატას: **„მხოლოდ რუსეთის..."** — არის თუ არა ამაში იმპერიული აზროვნების ნარჩენები? რასაკვირველია, რაც მოწმობს ნოსტალგიაზე და ქვეცნობიერ აგრესიულობაზე; **„...აფსნის დამოუკიდებლობა გახდა შეუქცევადი"** — აქაც იმავე აზროვნების ნარჩენებია, ოღონდ უკვე პარანოიდული თვისებით — ისტორიაში შეუქცევადი არაფერი არსებობს. ცვალებადი კი, შეუქცევადი — არა.

**„რთულ სიტუაციაში ბაღაფშმა არა მარტო აფხაზური საზოგადოების გაერთიანება, არამედ რუსეთის ფედერაციის ნდობის მოპოვებაც მოახერხა".** კრემლის ნდობაზე არ ვიკამათებ — ასეა ეს. დანარჩენი კი უფრო მეტად კონსტანტინე ზატულინის სიზმრისეული ოცნებაა. სწორედ ბაღაფშის დროს აფხაზური საზოგადოება, კლანური ინტერესების გავლენით, უფრო მეტად დაიქსაქსა. რაც შეეხება არასაკამათო ნდობას, ყურადსაღებია მისი აზროვრივი ხაზგასმა, როგორც ყველაზე ფასიანი ფაქტორისა.

**„ის, რაც პირველმა პრეზიდენტმა (არძინბამ) შეძლო, საეჭვოა ვინმე სხვას შესძლებოდა, თუნდაც სერგეი ბაღაფშს. მაგრამ, ის რის მიღწევას სერგეი ბაღაფშმა შეძლო, საეჭვოა მიეღწია ვლადისლავ არძინბას...** მოკლედ, ზატულინს თუ დავუჯერებთ, ასეთი წარმატებული ერი, როგორც აფხაზურია, ჯერაც არ გვინახავს დედამიწის ზურგზე — სადაც არ გაიხედავ, ნიჭიერი ნიჭიერზე ზის და სადღაც მიაჭენებს... საერთოდ ასეთი სტილისტიკა ისევ საბჭოებისკენ მიგვანიშნებს. ამან შეძლო, მაგრამ ისე... იმან კი შეძლო, მაგრამ... სიტყვებით ჟონგლიორობა უყვარდათ კომუნისტებს: „მან ჩვენი ნდობა გაამართლა, მაგრამ იმედები გაგვიცრუა..." — როგორია? — მიდი და გაერკვიე...

**...ძალიან უცნაურად გამოიყურებიან თბილისში ის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, დემოკრატია ასწავლონ აფხაზებს. მათ ხომ თვითონ ამის სრულიად არაფერი გაეგებათ... ...ბაღაფშის ძალისხმევით ნორმად იქცა ის, რასაც დღემდე ვერ მიაღწიეს საქართველოში, მიუხედავად დასავლეთის მხრიდან ქება-დიდებისა და კომპლიმენტებისა ქართული დემოკრატიის მისამართით".** საინტერესო გამონათქვამია — რაღაც ავადმყოფური მასში. დასაშვებია, რომ ზატულინი მართლაც ვერ ხედავს, რა ხდება აფხაზეთში და გულახდილად სჯერა, რომ აფხაზებისგან გვაქვს სასწავლი დემოკრატია. ამ მოსაზრების ბოლო დაბოლოება ხსნის საიდან შეიგრძნობა ავადმყოფური კომპლექსი — დასავლეთიდან. რამდენ ზატულისნაირს შეურყია ფსიქიკა საზიზღარმა დასავლეთმა. რასაკვირველია, დასავლეთი სამოთხე არაა — თავისი ნაკლოვანებები აქვს, მაგრამ ზატულინი პოსტულატებით ლაპარაკობს, რაც მის სულ სხვა დახასიათებას მოითხოვს.

**„სერგეი ბაღაფშს უბედობამ ვერ დაასახელებინა მისი მემკვიდრე".** მემკვიდრეობის პრინციპს მისტირის „დემოკრატი" დეპუტატი — ნანობს... რუსეთის ანალოგიის იქით მისი ფანტაზია აღარ წასულა — არცაა გასაკვირი. მემკვიდრეობიდან მონარქიამდე ერთი ნაბიჯია, თანაც კომუნისტურ ინტერპრეტირებაში: გენერალური მდივანი, როგორც აჩრდილი, ნელ-ნელა ზედაპირზე ამოდის.

**„...საეკლესიო სამყაროში, რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის არაკეთილმოსურნენი, რომლებიც რუსული ეკლესიის ავტორიტეტს თვლიან მთავარ დაბრკოლებად მათი გეგმების აღსრულების გზაზე, ამას უმალვე გამოიყენებენ. არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს — მათი უმრავლესობა იკრიბება კონსტანტინეპოლის პატრიარქის ბართლომეს გარშემო... ...ამ ბოლო დროს ის (ბართლომე) აშკარად ცდილობს პაპის მსგავსი საეკლესიო მართვა დაამკვიდროს".** კონსტანტინეპოლის პატრიარქატი და მასში მიმდინარე პროცესები მეტად მრავალმხრივია და რთული. სადღეისოდ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ამ პროცესებში მეტად უმნიშვნელო ადგილი უკავია, ვინაიდან: 1) მისი მსოფლიო პრესტიჟი და რეალური შესაძლებლობები რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ და ეკონომიკურ შესუსტებასთან ერთად, პარალელურად დაკნინდნენ. 2) რუსეთის პუტინისეულმა შიდაპოლიტიკურმა სიახლეებმა რუსული ეკლესია უკანა ხედზე გადასწიეს. ზატულინში კი ძველებურად, ჩვეულად ჩქეფს „არაკეთილმოსურნე მტრის" ძიების ჟინი — ეს ნაცნობი, ძველი ტრადიციაა.

**„...აფხაზეთში ადამიანები არა მარტო აფხაზეთის ინტერესებზე და თავიანთ თავზე, არამედ მათი ერთადერთი მოკავშირის და მეგობრის, რუსეთის, ინტერესებზედაც უნდა ფიქრობდნენ".** ეს კი უკვე, არა იმდენად რჩევად მიიღება, რამდენად ბრძანება-განკარგულებად — ვცნობ რუსულ-კომუნისტურ ხელწერას — „უფროსი ძმა უბრალოდ კი არ უნდა გახსოვდეს — პირველ რიგში უნდა გახსოვდეს და მის ინტერესებს პირველ რიგში უნდა იცავდე!"

**„ისინი** (აფხაზეთის მღვდელმსახურნი) **უკვე მოქმედებენ სხვა ლოგიკით: „ჩემი მტრის მტერი — ჩემი მეგობარია". მათი თანამოაზრე, ბერ–დიაკვანი დავითი (სარსანია), რომელიც მათგან განსხვავებით კურთხეულ იქნა ქართულ ეკლესიაში 2000 წელს, უკვე ალაპარაკდა იმაზე, რომ მოსკოვის პატრიარქატთან დაპირისპირებისას არ შეიძლება საქართველოს ეკლესიასთან მოლაპარაკებების გამორიცხვა".** „უყურე შენ — რას ბედავს ეს მამაძაღლი" — ფიქრობს სარსანიაზე ზატულინი... — „უმადურები" — განაგრძობს ის გულისხეთქვას — „ხედავ, როგორი ორპირები აღმოჩნდნენ! უკვე მტრებად ვესახებით და ქართველებისკენ გაურბით თვალი!" — კომენტარი უადგილოა.

„...ათასწლიანი რუსული მართლმადიდებლური ეკლესია როგორმე გადაიტანს იმ სიძნელეებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან აფხაზეთის მართლმადიდებლური რწმენისკენ შემობრუნებასთან. საჭიროა, რომ აფხაზეთში ადამიანებმა საკუთარ თავში მონახონ ძალა და გზას არ ასცდნენ". ეხ, ზატულინ, ზატულინ — მართლა არ იცი, თუ განგებ არ ამბობ იმას, რომ აფხაზეთში მრევლის მოვლა–პატრონობა ქართული ეკლესიის ვალიცაა და მოწოდებაც და რომ მის ამ უფლებას ღიად და არაორაზროვნად აღიარებს რუსული მართლმადიდებლური ეკლესია. იცი, იცი, მაგრამ თქმა გიჭირს. იმის გახსენებაც არ გინდა, რომ ქართული ეკლესია რუსულ ეკლესიაზე განუზომლად უფროსია და ამდენად გაცილებით პატივსაცემია ქრისტიანულ სამყაროში. იმაზე ნეტავ რას იტყვი, რომ აფხაზეთში მართლმადიდებლური მრევლის 99.9%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენენ? იდუმალად დუმს ზატულინი...

ზატულინის თითქმის ყოველ წინადადებაზე შეიძლება საკადრისი პასუხის გაცემა, მაგრამ არ ღირს, ვინაიდან ხსენებული ვაჟბატონი: ყოველ ნაბიჯზე ან ეშმაკურად ტყუის ან დაუფარავად ამახინჯებს რეალობას; სიმართლე მისთვის მიუღებელია; ინტერვიუში პოულობს ერთგვარ შვებას, როგორც დაგროვებული ბოღმისგან განთავისუფლებას.

შესაძლოა, მკითხველი არ დამეთანხმოს — რის ბოღმა, რა ბოღმა? ოკუპაციით რუსეთმა თავისი აისრულა და მშვენივრად გრძნობს თავსო.

საქმე ის არის, რომ ოკუპაცია მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. მეორე ნაბიჯი უნდა ყოფილიყო რეალური ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და სხვა მრავალი სარგებელის მომტანი. ამან არ გაამართლა.

ეკონომიკურად რუსეთმა ვერაფერი მოიგო, გარდა „თავის ტკივილისა" — გაუთავებელი ფულის ჩადება იქ, სადაც ეს ფული იკარგება. სამხედრო პოტენციალის გაზრდა და სამხედრო ნაწილების შენახვა გაუმართლებელი ხარჯია, ვინაიდან რეალური საშიშროება არ არსებობს და მხოლოდ სამხედროების გაღიზიანებას იწვევს, რადგან თავდაპირველად მათი აფხაზეთში ყოფნა უტოლდებოდა საზღვარგარეთ დისლოცირებას და გულისხმობდა სულ სხვა ხარისხის ფულად და მატერიალურ ანაზღაურებას. სამხედროები იმედგაცრუებულნი არიან და ამასთანავე, ბოლო დროს აშკარად გრძნობენ აფხაზების მხრიდან მტრული განწყობის მატებას.

პოლიტიკურად რუსეთმა ვერაფერი მოიგო — პირიქით, დღესაც ითვლის წაგებებს როგორც გარე, ისე შიდა პოლიტიკაში.

იდეოლოგიურად, რვა აგვისტოს ომმა ცეცხლი შეუნთო თითქმის მთელ ჩრდილოკავკასიას, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლა რაიმეს შებრუნებით ან გამოსწორებით პრაქტიკულად შეუძლებელია. რუსეთი ჩიხშია, რადგან გამოსწორება ნიშნავს დეოკუპაციას, რაც დღევანდელი ხელისუფლებისთვის პოლიტიკური (და არა მარტო პოლიტიკური) თვითმკვლელობის ტოლფასია.

**ამრიგად, ზატულინის მონოლოგი, მისი ადგილ–ადგილ სიმართლის აღიარებით და, ამავე დროს, ჯიუტად იმპერიული იდეოლიგიის თავზე მოხვევით გვიჩვენებს რუსეთის პოსტსაბჭოური პოლიტიკოსის ჰიბრიდულ ტიპს. ასეთ ადამიანებში თავისებური ჰარმონიულობით თავსდება: მონარქიულობა და კომუნისტობა; ათეიზმი და სარწმუნოება; ცივილიზებული სამყაროსადმი სიძულვილი და მისკენ სწრაფვა; მსოფლიოში აღიარებულ ფასეულობათა ჩამონათვალში შოვინიზმის შერევა.**

დღეს რუსეთის პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე იმეორებს რუსეთის იმპერიის და კომუნისტურ გამოცდილებას — ამ მიწებზე მცხოვრებ მოსახლეობის სრულ ასიმილაციას. ამის გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ ზატულინის სიტყვები და მივმართოთ იქ მცხოვრებთ: **საკუთარ თავში მონახეთ ძალა და გზას არ ასცდეთ.**

**მალხაზ ჟვანია**




ინფორმაცია

### ბიწაძის საქმე თეთრი ძაფებით კი არა, თეთრი თოკებითაა შეკერილი

**დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერ ნინო ბურჯანაძის შეფასებით, მისი მეუღლის — ბადრი ბიწაძის საქმე „თეთრი ძაფებით კი არა, თეთრი თოკებითაა შეკერილი".**

**ბურჯანაძის აზრით, პროკურატურას ბიწაძის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გააჩნია, რაზეც თუნდაც ის გარემოება მიუთითებს, რომ დღევანდელი დაკითხვისას მის მიმართ ბრალდების მხარეს არც ერთი შეკითხვა არ გასჩენია.**

**— სასამართლო უხერხულ მდგომარეობაშია, რადგან ბრალდებას დამადასტურებელი დოკუმენტი არა აქვს. 2 საათის განმავლობაში პროკურატურას არც ერთი შეკითხვა არ დაუსვამს, რაც ასევე ადასტურებს ჩემს მიერ ნათქვამის სიმართლეს. თეთრი ძაფებით კი არა, თეთრი თოკებით არის აღნიშნული საქმე შეკერილი. ვერც ერთ შემთხვევაში, ვერც ერთ ნორმალურ სასამართლოში, ეს საქმე ბოლომდე ვერ მივა, — განუცხადა ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს დაკითხვის შემდეგ.**

ჯი-ეიჩ-ენი

## აქტუალური ინტერვიუ

# მამუკა არეშიძე: სააკაშვილს კი არა, უარესსაც დაელაპარაკებიან, თუ გარემოება მოითხოვა

(მეორე გვერდიდან)

ცხინვალის ხელისუფლება ამ გზას კეტავს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების აქტივობა ამ საქმეში ნამდვილად არის.

მაგრამ, ვიმეორებ, მთავარი არის ის, რომ საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად უკვე ობიექტური მიზეზების გამო აბსოლუტურად პასიურ როლშია, მოწყვეტილია ამ სიტუაციას. ზუსტად ამან განაპირობა ჩემი ინიციატივა, რომელიც აფხაზეთთან მოლაპარაკების დაწყებას და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას გულისხმობს.

**— რატომ არის ამოვარდნილი საქართველო ამ პროცესიდან?**

— ეს არის 2008 წლის ომის შედეგი, ეს არის საქართველოს ხელისუფლების დიდი ნაწილის გაუმართლებელი საომარი რიტორიკა, ეს არის დღევანდელი ანტირუსული რიტორიკა. რუსი რომ ოკუპანტია, მე ამისი მტკიცება საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისგან ნამდვილად არ მჭირდება, მაგრამ სიტუაცია უნდა შეცვალო და უნდა ეძებო ახალი გზები. 10-10 მილიონზე მეტი ადამიანი დაუხოცეს ერთმანეთს გერმანიამ და რუსეთმა, მაგრამ ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ საერთო ენის გამონახვა დაიწყეს.

**— რუსეთის ხელისუფლება ჩვენ არ გველაპარაკება...**

— ზუსტად ესაა საქმე — არ დაგელაპარაკებიან არასოდეს, თუ შენი საჯარო რიტორიკა და კულუარული განსხვავებული იქნება. საჯარო რიტორიკის დროს ვისმენთ, რომ რუსეთი არის საზიზღარი, მასთან ლაპარაკი არ შეიძლება, რომ აუცილებლად უნდა გაიყვანოს ჯარი და მერე დავიწყებთ ლაპარაკსო. კულუარულად კი ვხედავთ, რომ წერილიც იგზავნება მედვედევის სახელზე, იქ სომხეთის ხელისუფლების მეშვეობითაც ცდილობენ, რაღაცნაირად დაალაგონ სიტუაცია. მე მესმის და მომწონს, ამას რომ აკეთებენ, მაგრამ მეორეს ნუღარ აკეთებ მაშინ — საჯარო რიტორიკაში თავი შეიკავე.

**— დაელაპარაკება რუსეთი სააკაშვილს, სწორედ სააკაშვილს და არა საქართველოს ?**

— სააკაშვილს კი არა, უარესსაც დაელაპარაკებიან, თუ გარემოებამ მოითხოვა. თუმცა აქ სხვა მომენტიცაა. შეიძლება პირადად სააკაშვილს არ დაელაპარაკო, მაგრამ დაელაპარაკო საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელს, მაგალითად, იმავე პრემიერ-მინისტრს, თუნდაც იმიტომ, რომ გაურკვეველი საკითხები გაირკვეს.

ეს არის „პიარი", რომელიც ფსევდოსიუჟეტზეა აგებული: ვითომ არ დაელაპარაკება სააკაშვილს, სინამდვილეში, რუსეთი კომფორტულად გრძნობს ამ სიტუაციაში თავს, რასაც უნდა, იმას აკეთებს ამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მოსახლეობამ მიატოვოს სახლები და ეს ტერიტორია ბუფერულ ზონად აქციოს. ფარად კი იფარებს იმას, რომ სააკაშვილი არის ომის დამწყები.

**— ჩვენ რა ვქნათ?**

— ამას ვამბობ, რომ უნდა გაძლიერდეს ძალისხმევა, უნდა მოვხსნათ აბსოლუტურად არასაჭირო რიტორიკა და უნდა შევეცადოთ ყველანაირად, რომ ვაიძულოთ რუსეთი, დიალოგის რეჟიმში შემოვიდეს. დიალოგის რეჟიმი არის უმნიშვნელოვანესი.

**— ბატონო მამუკა, დღევანდელ პირობებში, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, უტოპიაა თუ არა საქართველოს ოცნებები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით?**

— არასოდეს არაფერი არ არის უტოპიური. ხშირად მომყავს ხოლმე მაგალითი, რომ არსებობდნენ სახელმწიფოები, რომლებიც ქრებოდნენ. იყო სახელმწიფო მაჯოუ, 1946 წლამდე არსებობდა და იგი 28 ქვეყანამ ცნო. სად არის ეს სახელმწიფო დღეს? ამიტომ ჩვენ გვმართებს კრეატიულად აზროვნება და მანევრები.

**— კრეატიზმში და მანევრებში, ალბათ, თქვენი ცნობილი ინიციატივაც იგულისხმება?**

— როდესაც ჩემი იდეა წამოვაყენე, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ არიქა, ახლა, ვეტაკოთ აფხაზებს და უნდათ თუ არ უნდათ, მივანიჭოთ დამოუკიდებლობა და დავიშალოთო. ეს ერთგვარი ტესტი იყო არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებისთვის, არამედ საქართველოს საზოგადოებისთვის და ქართულ საზოგადოებასთან ამ თემაზე მეტი პრეტენზია მაქვს, ვიდრე ხელისუფლებასთან. ეს ასევე იყო ტესტი აფხაზური საზოგადოებისა და ხელისუფლებისთვისაც, რუსეთისთვისაც, დასავლეთისთვისაც... საბოლოო ჯამში, ეს ტესტი შედგა ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, რასაც მე ველოდებოდი, მაგრამ ბევრი რამ გამოააშკარავდა კიდეც.

დღეს მე მაქვს ხელი გახსნილი, რადგან ჩემს წინადადებაზე სერგეი შამბამ უპასუხა, რომ არასოდეს რუსეთის ჯარი არ გავა აფხაზეთის ტერიტორიიდან და ლტოლვილების დაბრუნება გალის რაიონის იქით არ მოხდება. ამით მე შემიძლია ნებისმიერ სიტუაციაში, პირადი შეხვედრა იქნება (და მქონია კიდეც ასეთი შეხვედრები) თუ სხვა ტიპის შეხვედრები, ყოველთვის ვთქვა, რომ შამბას ურჩევნია რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდეს, არ იყოს დამოუკიდებელი, რაც მთავარია, ჰქონდეს ფსევდოდამოუკიდებლობა და ჭამოს ის ფული, რასაც რუსეთი აძლევს და რომელსაც ის პარავს თავის პენსიონერებს. ობიექტურობისთვის ვაკეთებ გარკვეულ შეღავათს შამბასთვის, რადგან ეს იყო წინასაარჩევნო მარათონი და შეიძლება ამის გამო ისროლა კიდეც ასეთი ფრაზა.

**— „მამუკა არეშიძე არ არის უჭკუო კაცი და რადგანაც მან ეს განცხადება გააკეთა, ეტყობა მას რაღაც ინფორმაცია აქვს", — განაცხადა მარიკა ლორთქიფანიძემ თქვენი ინიციატივის კომენტირებისას. ჰქონდა თუ არა მამუკა არეშიძეს მართლაც ეს „რაღაც ინფორმაცია", როდესაც ამ ინიციატივით გამოდიოდა?**

— რასაკვირველია, მაქვს ეს ინფორმაცია, რომელსაც პრესის ფურცლებს ვერ ვანდობ. მე მქონდა ეს ინფორმაცია და ვიდრე მე საჯარო ტესტს ჩავატარებდი, ჩავატარე კულუარული ტესტი, ოღონდ ქართულ საზოგადოებაზე არა, აფხაზური საზოგადოების იმ ნაწილზე, რომლის აზრიც მე ძალიან მაინტერესებდა. უნდა ითქვას, რომ ამ ტესტმა მე ერთი საინტერესო პასუხი მომიტანა: არც უარყოფითი და არც დადებითი პასუხი, პირველად თქვენ გეუბნებით ამას — გვაცალე არჩევნების ჩატარება! მე მგონი, ძალიან საინტერესო პასუხია...

**— რას იტყვით თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმებაზე, რომელსაც ასე დაჟინებით ითხოვს როგორც აფხაზური, ისე ოსური მხარე?**

— მე მგონია, რომ უნდა გაფორმდეს ეს თავდაუსხმელობის ხელშეკრულება, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ისე, როგორც უნდათ რუსებს, სოხუმსა და ცხინვალს: თავდაუსხმელობის ხელშეკრულება გაფორმდეს ორ თანასწორუფლებიან ქვეყანას შორისო. ეს გამორიცხულია და სისულელეა. თუ გაფორმდება, ამ ნაწილში მარტო მხარეებზე უნდა იყოს ლაპარაკი — მაგალითად, ქართული და ოსური მხარე.

გარდა ამისა, ეს არის კომპლექსური საკითხი, რომელიც დიდი საერთო საკითხის ნაწილია. ამიტომ რაღაც პროცესი უნდა დავიწყოთ ასეთი ტიპის ხელშეკრულების გაფორმებით, ანუ თუ შევქმნით რაიმე გეგმას, იქ უნდა ეწეროს პუნქტი მეორე ან მესამე — თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ პირველი პუნქტი უნდა იყოს უფრო ღირებული და მესამე და მეოთხე ამას უნდა მოჰყვებოდეს. ეს უნდა იყოს წინადადებების პაკეტში, რომლითაც დაიწყება ახალი პროცესი. ის კი არა, ძველი, რომელსაც 20 წელია ვაკეთებთ და დრო მოჭამა. იქ უკვე აღარაფერს მნიშვნელობა არა აქვს.

**— ჩვენი ხელისუფლების პოზიცია არის ასეთი — ჩვენი გზა ტერიტორიების დაბრუნებისა არის შორი, მაგრამ სწორი. ეთანხმებით თუ არა ამ პოზიციას?**

— ზუსტად მანდ არის განსხვავება ჩემს მიდგომასა და ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მიდგომას შორის. პროცესის დასაწყისს ვერ ვხედავ. პირიქით, ვხედავ სულ სხვა რამეს, ვხედავ იმას, რომ საქართველო ამ პროცესს მიღმაა დარჩენილი.

არ ვამბობ, რომ საქართველო სრულებით არის ამოვარდნილი ამ პროცესიდან. ვამბობ, რომ საქართველო პასიურად მონაწილეობს. როდესაც საქართველო აქტიურ მონაწილეობას დაიწყებს ამ პროცესში და დავინახავ, რომ პროცესი დაწყებულია, მაშინ ვიტყვი, შორია თუ ახლოა პერსპექტივა და ეს პროცესი მიგვიყვანს წარმატებამდე თუ არა.

**— პირადად თქვენ, მამუკა არეშიძეს, გჯერათ თუ არა, რომ ხილულ მომავალში საქართველო შეძლებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას?**

— როგორც კი დაიწყება პროცესი, როგორც კი კრეატიული იდეები გაჩნდება, ძალიან იოლი იქნება რაღაც შედეგზე ორიენტირებული პროცესის დაწყება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმდენი ვარიანტია, რამდენი ქართველიცაა. ქართულ საზოგადოებაში არის ხალხის ერთი ნაწილი, რომლისთვისაც ფრაზა „ომით დაკარგულს ომითვე დაიბრუნებ" — არის წმინდა. არის მეორე ნაწილი, რომელიც მიიჩნევს, რომ სამშვიდობო პროცესი უნდა იყოს ხანგრძლივი და ვნახოთ, რა გამოვა.

ისე, „ომით დაკარგულის ომით დაბრუნებას" — ციხის შიგნიდან გატეხა სჯობს. ომი იგულისხმება, ოღონდ ინტელექტუალური ომი. მეორეც: ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი არის ბალიშზე წამოწოლილი და დარწმუნებულია, რომ სხვა მოაგვარებს მის პრობლემებს. როდესაც ერის დიდი ნაწილი ასეთი განწყობისაა, ის ერი ვერც თავის ტერიტორიას დაიბრუნებს ვერასოდეს და ვერც ქვეყანას წინ ვერ წაიყვანს. ჩვენ გვაქვს უზარმაზარი ინტელექტუალური რესურსი, გამოცდილების რესურსი, კავშირების რესურსი და ამას სწორი რეალიზაცია სჭირდება.

ჩვენ გვყავდა მეფე გიორგი ბრწყინვალე, რომელსაც საგარეო ომი თითქმის არ უწარმოებია და ისტორიაში შევიდა „ბრწყინვალის" სახელით, იმიტომ, რომ უდიდესი დიპლომატი იყო და რაც ხმლით იყო გასაკეთებელი, დიპლომატიით მოაგვარა. ამის გაკეთება შესაძლებელია, ოღოდ ახლებური, კრეატიული მიდგომებია საჭირო და იმ ძველი გზის არგანმეორებაა საჭირო სულ მცირე, რომელზედაც 20 წლის განმავლობაში ვიარეთ.

ესაუბრა
**ეკა მომცელიძე,**
ჯი-ეიჩ-ენი




## SIC!

### მერაბიშვილის უწყებაში დასცხათ, არადა ერთობ გრილი აგვისტოა...

5 აგვისტოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, გამაგრილებელი და სავენტილაციო საშუალებების შესყიდვაზე განაცხადს, შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველო აკეთებს. მერაბიშვილის უწყება გაგრილებისთვის მზადაა 110.700 ლარი გადაიხადოს. ამავე უწყების განსაკუთრებულ საქმეთა დეპარტამენტი სხვა შესყიდვის განაცხადსაც აქვეყნებს.

განსაკუთრებულ საქმეებზე მომუშავეები 340 ცალი ტუალეტის ქაღალდის დისპენსერს ითხოვენ. შესყიდვისთვის თანხად 10. 200 ლარია მითითებული.

გასაგრილებლად თანხას, ოღონდ თბილისთან შედარებით გაცილებით მოკრძალებულს, ითხოვს შსს-ს ქვემო ქართლის მთავარი სამხარეო სამმართველო. რუსთაველი პოლიციელები გასაგრილებლად 5.500 ლარს დახარჯავენ.

მერაბიშვილის უწყება, კონკრეტულად კი განსაკუთრებულ საქმეთა დეპარტამენტი ერთ საინტერესო შესყიდვაზეც აკეთებს განაცხადს. ამჯერად ითხოვენ საოჯახო ტექნიკას. შესყიდვის საწყისი ღირებულება 17.350 ლარია. შესაძენი ნივთების ჩამონათვალში თმის საკრეჭებიც ხვდება. არაოფიციალური ინფორმაციით, გამაგრილებელი ტექნიკის, ვენტილატორების, კონდიციონერების და ჟალუზების შესაძენად შსს რეგიონული სამმართველოები ყოველ ზაფხულს ითხოვენ და იღებენ კიდეც თანხებს. მაშინაც კი, როცა წინა წლის ნაყიდი გამაგრილებელი ტექნიკა პირნათლად მუშაობს.

**მანონ ბოკუჩავა,**
ქვემო ქართლი

## ინფორმაცია

### ახმეტის რაიონში წყალდიდობაა

**ახმეტის რაიონში წყალდიდობაა. მოვარდნილმა ნიაღვარმა სოფელ მატანში 40-მდე საცხოვრებელი სახლი დატბორა.**



**დახოცილია შინაური ფრინველი და ცხოველი. დატბორილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიც. ჩახერგილია ცენტრალური მაგისტრალი, რის გამოც შეფერხებულია მოძრაობა.**

**ადგილზე სპეციალური ტექნიკაა მობილიზებული, რომელიც გზის გაწმენდით სამუშაოებს აწარმოებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ შეაყარე კედელს ცერცვი

# საქართველოს ხელისუფლებამ დევნილთა იძულებით გამოსახლება უნდა შეწყვიტოს!

**Amnesty International** აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა შეწყვიტოს დევნილთა იძულებით გამოსახლება და უზრუნველყოს ისინი ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით.

ივლისში თბილისში დაწყებული გამოსახლების მორიგი ტალღის დაწყებასთან ერთად, 5 აგვისტოს გამოქვეყნებულ პრეს-რელიზში ორგანიზაცია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ არ გაიმეოროს „იგივე შეცდომები", რაც შარშან ივნის-აგვისტოსა და 2011 წლის იანვარში მოხდა, დაახლოებით ათასი ოჯახის თბილისიდან რეგიონებში განსახლების დროს და რასაც **Amnesty International** მის 29-გვერდიან ანგარიშში აღწერს.

**Amnesty International** აცხადებს, რომ საქართველომ იძულებით გადაადგილებულ პირთა ადეკვატური საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიცემული პირობის მიუხედავად, „დაარღვია საერთაშორისო ვალდებულებები და ბევრი იძულებით გადაადგილებული პირის სიტუაცია გააუარესა".

„ომის გამო გადასახლებულ ადამიანებს ესაჭიროებათ სტაბილური გარემო ცხოვრების ხელახლა ასაწყობად. სანაცვლოდ, ხელისუფლებამ მათ ადეკვატური კონსულტაციების, შეტყობინების ან სამართლებრივი საშუალებების ხელმისაწვდომობის გარეშე გამოსახლებით, დაუცველობის დამატებითი განცდა გაუჩინა. ზოგიერთ შემთხვევაში, ხელისუფლებამ ვერ შეძლო გამოსახლებულთა ადეკვატური ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფა", — აცხადებს **Amnesty International**-ის ქართველი მკვლევარი ნატალია ნოზაძე.

ამასთან, **Amnesty International** აგრძელებს მოწოდებებს სეპარატისტული ხელისუფლებების მიმართ, რომ პატივი სცენ დევნილთა თავიანთ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლებას, თუმცა ასევე აღნიშნავს, რომ სანამ ეს არ არის შესაძლებელი, საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები მათი ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის და ეკონომიური დამოუკიდებლობის პირობების შექმნის გზით.

„ვიდრე გამოსახლებისა და გადასახლების პროცესი ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში და მათი ინფორმირებული ჩართულობით არ განხორციელდება, საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ზომები უფრო ხელს შეუშლის, ვიდრე შეუწყობს დევნილი ადამიანების სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას ადგილობრივ საზოგადოებაში", — აცხადებს **Amnesty International**-ის მკვლევარი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო პრესისა და მასმედიის წარმომადგენლების მიერ **Amnesty International**-ში გამოქვეყნებული ანგარიშის შესახებ დასმული კითხვების საპასუხოდ განმარტავს, რომ განსახლების პროცესი მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის მიხედვით. პროცესი წარიმართა სამინისტროს, გაეროს და სხვა საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მიერ ერთობლივად შემუშავებული პროცედურების მიხედვით. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსი" გვამცნობს.

„ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადება, რომელიც ფიქრობს, რომ დაირღვა საერთაშორისო ვალდებულებები და დევნილთა მდგომარეობა გაუარესდა, არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან დევნილებს, რომლებიც ცხოვრობენ ანტისანიტარიულ მდგომარეობაში და გაუსაძლის პირობებში, სახელმწიფო სთავაზობს სამოქმედო გეგმის სტანდარტების შესაბამისად დონორების მიერ გარემონტებულ ფართებს საკუთრებაში.

პროცესის შესახებ მიმდინარეობდა ხანგრძლივი კონსულტაციები დევნილებთან, თუმცა მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილი ჩაერთო და სოციალურმა პროცესმა პოლიტიკური ელფერი შეიძინა. სამწუხაროა, რომ განსხვავებით სხვა ორგანიზაციებისგან, რომლებიც უშუალოდ ჩართული იყვნენ პროცესში, **Amnesty International**-ის წარმომადგენელს არ მიუღია მონაწილეობა მასში, ამდენად, არ ფლობს სრულფასოვან ინფორმაციას, რაც აისახა კიდეც მათ მიერ მომზადებულ ანგარიშში.

ნებისმიერ დაინტერესებულ ორგანიზაციას ჰქონდა საშუალება, ჩართულიყო და დაკვირვებოდა ამ პროცესს, ვინაიდან პროცესი იყო ღია და საჯარო და უკავშირდებოდა დევნილების მუდმივი საცხოვრებლით უზრუნველყოფას, რითაც სამწუხაროდ **Amnesty International**-მა არ ისარგებლა, ამდენად მით უფრო გასაკვირია, თუ რას ეფუძნება ორგანიზაციის მიერ მოყვანილი, უმეტეს შემთხვევაში, დამაჯერებელ არგუმენტებს მოკლებული ფაქტები. არ შეესაბამება სინამდვილეს ანგარიშში აღნიშნული ფაქტი, თითქოს სამინისტროსგან ვერ მიიღეს ინფორმაცია 2011 წლის მარტში, ვინაიდან კითხვებზე დეტალური პასუხები სამინისტრომ წერილობით გაუგზავნა ორგანიზაციას. სამინისტრო კვლავ იტოვებს ნებისმიერ ორგანიზაციასთან მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედს", — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ნატა ნიბლაძე**

◉ ინფორმაცია

## ბურთი ახლა რუსეთის მოედანზეა



**საქართველოს** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სერგი კაპანაძის განცხადებით, რუსეთის ვმო-ში გაწევრების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების ფარგლებში არსებობს საკითხები, რომლებზეც დათმობები შესაძლებელია.

— არ არის მართებული იმაზე საუბარი, იქნება თუ არა რამე დათმობები ჩვენი მხრიდან, რადგან მოლაპარაკებების პროცესი გულისხმობს დათმობებს ორივე მხრიდან, ხოლო კომპრომისი ყოველთვის ორხმრივია. ბუნებრივია, არის საკითხები, სადაც დათმობები შესაძლებელია, — აცხადებს კაპანაძე.

ამასთან, მისივე თქმით, ასევე არის საკითხები, რომლებიც პრინციპულია და რომელზეც „დათმობებს ვერ გავაკეთებთ".

— ეს ჩვენი წითელი ხაზები ძალიან კარგად იცის როგორც შვეიცარიამ, ისე ჩვენმა სხვა მეგობრებმაც და რუსეთის ფედერაციამაც. ჩვენ უკვე გავაკეთეთ ერთი სერიოზული დათმობა — არ ვითხოვთ ჩვენი მებაჟეების დაყენებას ფსოუზე და როკის გვირაბზე, გვესმის რა, რომ ამ საკითხის დაყენება, თემის პოლიტიზაცია იქნება. ეს ძალიან სერიოზული კომპრომისია და იმედი გვაქვს, რომ სათანადოდ იქნება აღქმული ყველა მხარის მიერ. ეს დათმობა გავაკეთეთ იმისათვის, რომ ყველამ დაინახოს, რომ ჩვენ კონსტრუქციულები ვართ და დაინტერესებულნი ვართ რუსეთის ვმო-ში გაწევრებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, რა თქმა უნდა, ის აპირებს ვმო-ს პრინციპების და ნორმების გათავისებას და მათზე დამორჩილებას. შესაბამისად, ასეთი ტიპის ფუნდამენტურ დათმობას ჩვენ ველარ გავაკეთებთ, — განმარტავს მინისტრის მოადგილე.

ამასთან, სერგი კაპანაძის თქმით, ქართული მხარე აუცილებლად გააგრძელებს კონსტრუქციულად მონაწილეობას მოლაპარაკებებში და შეეცდება კრეატიულად მიუდგეს საკითხებს, რაც „ჩვენ და რუსეთს გვყოფს".

— საბოლოოდ, ასე შეგვიძლია სიტუაციის შეჯამება — ბურთი ახლა რუსეთის მოედანზეა. თუ ის დაინტერესებულია ვმო-ში გაწევრებით, ის წავა შვეიცარიის შემოთავაზებაზე, ხოლო თუ ის არ არის დაინტერესებული — მაშინ ამ წინადადებას არ მიიღებს, — აცხადებს კაპანაძე. რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას, რომ მოსკოვი მზადაა მოლაპარაკებების ფარგლებში ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების საკითხი განიხილოს, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმით, „ემბარგოს საკითხი საერთოდ არ განიხილება".

## ქართველები და რუსები ერთმანეთს ჰააგაში უჩივიან



**ჰააგაში** საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ სამხრეთ ოსეთში ომის შესახებ რუსეთის მიერ გაგზავნილი სისხლის სამართლის მასალების ასლები განიხილა. უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი გადაწყვეტილება, დაიწყებს თუ არა სასამართლო გამოძიებას. ამის შესახებ რუსული გამოცემა „კომერსანტი წერს. გამოცემის მიხედვით, ამ პროცესის პარალელურად საქართველოც საკმაოდ აქტიურად მუშაობს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში და ცდილობს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას.

გამოცემა წერს, რომ რუსეთის იმ უწყებებში, რომლებმაც სისხლის სამართლის პროკურორ ლუისუ მორენო-ოკანპოსთან ერთად იმუშავეს საქმის წინასწარ შემოწმებაზე დარწმუნებულნი არ არიან, რომ საქმე სასამართლომდე მივა. ამის მიზეზად, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსგან განსხვავებით რუსეთის მიერ რომის სტატუსის რატიფიცირებისგან თავის შეკავება სახელდება, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სამართლებრივ სტატუსს. არსებული წესების მიხედვით, სასამართლოს ფარგლებში გამოძიების ჩატარების ინიცირება შეუძლია გაეროს უშიშროების საბჭოს ან პროკურორს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ სათქმელი უნდა ითქვას

# გამართლება? — არამც და არამც!..

## ანუ, პიარაქცია პანაშვიდის მუსიკის აკომპანიმენტით

**ადვილად** ვერ გადავწყვიტე რედაქციაში ამ წერილის მიტანა და გაზეთისათვის შეთავაზება, გვარიანად ვიყოყმანე, იმდენად დელიკატური მეჩვენებოდა თემა; ოღონდ ვერაფერი ვერ მოვუხერხე ფიქრებს, ზოგჯერ რომ დაუკითხავად დაგესევიან და არ მოგასვენებენ... თანაც დარწმუნებული ვარ, სხვებსაც გაუჩნდებოდათ მსგავსი „ინტრიგული" ფიქრები...

გასულ შაბათს ქუთაისში, ლიპარტელიანების დამწუხრებულ ოჯახში, ქვეყნის პრეზიდენტის მიბრძანებასა და სამძიმარს უკავშირდება ჩემი სათქმელი.

რასაკვირველია, მეც შემძრა შორეულ ნორვეგიულ კუნძულზე, ნორვეგი ნაძირალას (რომლის სახელ-გვარის ხსენებაც არ მინდა) ხელით შესანიშნავი ქართველი გოგონას ულვთო დაღუპვამ სხვა ეროვნების ათეულობით თანატოლთან ერთად. ვსარგებლობ შემთხვევით და საზოგადოების რიგითი წევრის ენა-პირით თანავუგრძნობ თამთას უბედურ მშობლებს, ერთადერთი შვილის დამკარგავთ.



პრეზიდენტის სამძიმარს-მეთქი და დიახ, გამაოცა მიხეილ სააკაშვილის დამწუხრებულმა სახემ და მოწმენდილმა ცრემლებმა, არც „კინოსას" რომ არ ჰგავდა და მით უფრო, არც ნიანგისას... არაფერი ადამიანური არ უნდა იყოს ქვეყნის მეთაურისათვის უცხო, მაგრამ მეპატიოს-და, მაინც პიარ-ჟესტად აღვიქვი ლიპარტელიანების ოჯახში სამძიმრით იმისი მისვლა.

პიარ-ჟესტად იმიტომ, რომ იმ წუთებში გამახსენდა თბილისის გარეთ თუ თბილისის ქუჩებში გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძის, გამცემლიძის და სხვა უდანაშაულო, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ბიჭების სასტიკი მკვლელობები — რა მექნა, არ გამხსენებოდა? არ მომგონებოდა 26 მაისს რუსთაველის გამზირზე დაღვრილი ალალი სისხლი? ქუთაისში, იქაურ ხელისუფალთაგან გმირთა მემორიალის ყოვლად გაუმართლებელი აფეთქებისას დედა-შვილის ტრაგიკული აღსრულება? და ყველაფერი ეს, დიდწილად, პოლიციელთა, სპეცრაზმელთა, მოკლედ, ძალოვანთა ხელით ჩადენილი! რატომ მაშინ არ მოესურვა ბატონ პრეზიდენტს დაღუპულთა ოჯახებში მისვლა, თანაგრძნობის გამოხატვა, სამძიმრის გამოცხადება? კარგი, არცთუ საყვარელ თბილისში ეს არ გააკეთა, მაგრამ საყვარელ ქუთაისში, იმ დედა-შვილის ოჯახში? ქუთაისის შემთხვევაში, მე თუ მკითხავენ, ხელისუფლების სახელით ბოდიშიც უნდა მოეხადა იმ უგუნური, მსხვერპლიანი აფეთქების გამო!

რატომ და იმიტომ ხომ არა, რომ უცხოელები ვერ დაესწრებოდნენ, ნორვეგიული ტრაგედიისაგან განსხვავებით, რომ მსოფლიო ვერ შეიტყობდა ასეთი ჟესტის თაობაზე? რომ შინაურ ამბებზე გამოთქმული თანაგრძნობა-სამძიმარი ღირებულ საპიაროდ ვერ ქაჩავდა?..

ერთი, ჩემი აზრით, პრინციპული მომენტიც: იმავე შაბათს მიხეილ სააკაშვილმა ტელეეკრანიდან მკაცრად დაგმო საერთაშორისო ტერორიზმი და იმასთან ბრძოლა ყველას საქმედ გამოაცხადა — სრულიად გასაგებად და სწორად; მაგრამ რა მექნა, არ მეფიქრა, რომ საერთაშორისომდე ჯერ „ადგილობრივი", პოლიციურ-სპეცრაზმულ-ძალოვნური ტერორიზმია დასაგმობი და მოსარევი? ან ეგებ სახელმწიფო ტერორის კვალიფიკაცია არ უნდა მიეცეს სვანეთში აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტასა და რუსთაველის გამზირზე, 26 მაისს, ღამით მიტინგის დარბევას?

და ბოლოს, ამგვარი დეტალიც: ალბათ, თქვენც შენიშნეთ, ოთახში სამძიმარზე შესული პრეზიდენტის უკან ბრგე ვაჟკაცი, რომელმაც პიჯაკის საყელოზე დამაგრებულ მიკროფონში რაღაც ინფორმაცია ჩაუშვა; ჰოდა, თავს შეკითხვის ნებას ვაძლევ: რამდენად გამართლებულია, რამდენად მოსაწონია ასეთ ვითარებაში დაცვის თანხლება მით უფრო, თუ ის აგრე „მიკროფონგასმით" ამჟღავნებს თავს?..

თუმცაღა, რა გამართლებაზეა ლაპარაკი?

**ბერდია ბედოიძე**

## ქართველები „დაცვაში" ვართ

# როცა მეზობელი კარისა სულაც არ არის სინათლე თვალისა!...

**„Forum-msk.ru"-ზე გამოქვეყნებული სტატიის ავტორის მსჯელობა ქართველი ერის წარმოშობის შესახებ სრულ გაუგებრობაზეა აგებული, ოღონდ გამიზნულ გაუგებრობაზე.** იგი აღნიშნავს: „საქართველო ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შთანთქავდა ხალხებს, მათგან აღნობდა იმ პოლიტიკურ ერს, რომელსაც დღეს წარმოადგენს ქართველები. დიდი ხანია შეწყვიტეს ცალკეულ ეთნოსებად დაყოფა ხევსურებმა, გურულებმა, თუშებმა, იმერლებმა, მაგრამ ერთგვარად კვლავ შეინარჩუნეს თავიანთი იდენტურობა მეგრელებმა, აჭარლებმა, სვანებმა... ქართველი ხალხი ახდენს ასიმილირებას საკმაოდ იოლად, საქართველოს ტერიტორიაზე არიან ასევე სომხები, აზერბაიჯანელები... ოსები, აფხაზები, რომლებსაც როგორც მინიმუმი, დაჟინებით არ უნდათ ასიმილირება, როგორც მაქსიმუმი — წინააღმდეგობას უწევენ ამას იარაღით ხელში. სწორედ ამიტომ ქართულ ეროვნულ იდეას საფუძვლად დაედო „ჩვენი მიწის" კონცეფცია... ქართული ეროვნული იდეა არ არის სიცოცხლისუნარიანი „ჩვენი მიწის" ციცქნა ნაწილის დაკარგვის პირობებში, როდესაც ტერიტორიის დაკარგვა, განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ, გახდა პრაქტიკულად შეუქცევადი, თამამად შეიძლება ასეთი ეროვნული იდეის მოსროლა ნაგავსაყრელზე.

მოტანილი სტატია, რომელიც საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი ზიზღით არის გაჟღენთილი, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. დავიწყოთ იმით, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება სრულიადაც არ ნიშნავს ერთი ციცქნა „ჩვენი მიწის" დაკარგვას. ეს „ციცქნა" მიწა საქართველოს ტერიტორიის თითქმის მეხუთედია.

ამასთან საკითხავია, რომელი ხალხის ეროვნულ იდეას ძირითადად არ უდევს საფუძვლად „ჩვენი მიწის" კონცეფცია. უფრო მეტიც, ის უფრო საკითხავია, სომხების მიერ ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დარღვევით საზღვრების გაფართოებას ყარაბაღის ხარჯზე, რომელმაც დიდი სისხლისღვრა გამოიწვია, მაშ რა უდევს საფუძვლად, ან საქართველოს მიმართ მითური „დიდი სომხეთის" აღდგენის მიზნით სრულიად უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიების წაყენებას რა დავარქვათ? ვინ ყვირის მთელი მსოფლიო საზოგადოების გასაგონად, რომ საქართველოს ძირძველი კუთხე სამცხე-ჯავახეთი სომხური მიწებიაო? ჩვენ თუ მართლაც ნამცეცა სულის პატრონი ზოგიერთი სომეხი მეცნიერი?

უცნობ ავტორს იმდენი ჭკუაც არ ყოფნის, რომ ლოგიკურად მაინც გადმოსცეს სათქმელი. საქართველოს საუკუნეების განმავლობაში მართლაც რომ შთაენთქა მასთან მცხოვრები ხალხები და საკმაოდ იოლად მოეხდინა მათი ასიმილირება, მაშინ ასეთი სიძულვილით გაჟღენთილი სტატიებიც არ დაიწერებოდა. თვით ცნობილი სომეხი ისტორიკოსები სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამენ. ისინი ქართველთა მეფეს დავით აღმაშენებელს დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ, როგორც სომეხთა მფარველსა და მათ მოჭირნახულეს. სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაელის (XII ს.ძ ცნობით, დავით აღმაშენებელი „იყო შემწყნარებელი და მოყვარული სომეხი ხალხისა". ცნობილი სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფეცის (1376-1446ძ გადმოცემით, როდესაც ქართველთა მეფემ გიორგიმ შეიტყო თემურ-ლენგის ჯარების ახალი თავდასხმის შესახებ, ქართველ ხალხთან ერთად სომხებსაც მიუჩინა თავშესაფარი მიუდგომელ ციხეებში და თვით ითავა მოსული ურდოებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. გაძლიერდა სომხების გახიზვნა საქართველოსკენ. მათ განუწყვეტლივ ემუქრებოდათ ფიზიკური განადგურების, უკვალოდ გაქრობის, თუ იძულებით ემიგრაციის საშინელი საფრთხე. როგორც ცნობილი სომეხი მოღვაწე ვ. ნალბანდიანი აღნიშნავს, ამ პირობებში სომხებისთვის საიმედო თავშესაფარს, ბუნებრივია, წარმოადგენდა საქართველო, სადაც მოძმე ქართველი ხალხის სტუმართმოყვარე კედლებში, მის ჭერქვეშ შეიძლებოლდა უზრუნველი ცხოვრება ეპოვა კაცს (ვ. ნალბანდიანი. თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში. თარგმანი სომხურიდან თბ., 1959, გვ. 118, – 122ძ. გაჭირვების ჟამს საქართველოში გადმოსახლების შესახებ თომა მეწოფეცს მოვუსმინოთ: 1831 წელს **„სასტიკი შიმშილი დაიწყო ჩვენს ქვეყანაში როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა შორის, ისე რომ შეჭამეს ძაღლები და კატები, გვამები, ცხენები, ვირები, ჯორები და აქლემები. აღარაფერი რომ არ დარჩათ, მაშინ თავიანთ ვაჟებსა და ასულებს მიმართეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ... ფარულად და აშკარად ათასი კაცი შეჭამეს... მორწმუნენი ზამთრის ჟამს არარატის გავარიდან აიყარნენ და საქართველოსკენ გასწიეს"** (თომა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. თბ., 1987, გვ. 62ძ. XIII საუკუნის ასევე ცნობილი სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის მოსაზრებაც მოვისმინოთ ქართველების შესახებ: „ქართველები... ძალზე კეთილნი და გულითადნი იყვნენ მოსულების მიმართ, რომლებიც მათთან თავშესაფარს ეძებდნენ" (К.Гандзакеци. История Армении. М., 1976, с. 167ძ.




ასეთი მრავალი მაგალითის შეტანა შეიძლება, მაგრამ რაც ითქვა, მოვლენის ნათელსაყოფად ისიც საკმარისია. თუ „დიდი სომხეთის" იდეაფიქსით დაავადებულ ზოგიერთ სომეხ „მეცნიერს" სომეხი ისტორიკოსებისაც არ ჯერა, მაშინ იტალიელი მისიონერებისა და ევროპელი მოგზაურების ნაშრომებსაც უნდა მივმართოთ, რომლებშიც მრავლად გვხვდება ქართველი ხალხის კეთილი დამოკიდებულება ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისა და სხვა სარწმუნოების ადამიანებისადმი პატივისცემის შეუდარებელი მაგალითები. ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც 1672-1673 წლებში იმოგზაურა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში და ვრცლად აღწერა საკუთარი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი თუ მოვლენა, აღნიშნავს: **„ქართველები თავაზიანნი და კაცთმოყვარენი, ამასთანავე დარბაისელნი და თავდაჭერილნი არიან... საქართველოში ყველას აქვს მინიჭებული... უფლება იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი"** (შარდენის მოგზაურობა, თბ., 1975, გვ. 297-298ძ. მეორე ფრანგი მოგზაური გრაფი ფერიერ-სოვბეფი, რომელიც მე-18 საუკუნის 80-იან წლებში იმყოფებოდა საქართველოში, აღნიშნავს: ქართველები „მართალია მეტისმეტად მორწმუნენი არიან, მაგრამ სხვა სარწმუნოების ადამიანებს რელიგიის გამო არასოდეს აწყენინებენ" (მ. იამანიძე, საქართველო ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში. თბ., 2006, გვ. 208ძ.

**„ქართველები თავაზიანნი და კაცთმოყვარენი, ამასთანავე დარბაისელნი და თავდაჭერილნი არიან... საქართველოში ყველას აქვს მინიჭებული... უფლება იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი".**

**ჟან შარდენი.**

ამ შემთხვევაშიც უსასრულოდ შეიძლება ანალოგიური მოსაზრებების მოტანა, მაგრამ რაც ზემოთ ითქვა, ისიც სრულიად საკმარისია უცნობი ავტორისა და საერთოდ სომეხი „მეცნიერების" მიერ გამოთქმული მსგავსი მსჯელობების სრული უსაფუძვლობის, ფაქტების არნახული გაყალბების, მეცნიერული სინდისისადმი უპატივცემულობის დასამტკიცებლად. არაერთხელ ძალიან ცუდად დამთავრდა როდესაც ეგონათ, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებას".

უცნობი ავტორი შეგნებულად საქართველოს ისტორიულ პროვინციებში მცხოვრებ ქართველებს ეთნოსებს უწოდებს. თუშები, ხევსურები, გურულები, იმერლები და ა. შ. თურმე ეთნოსებია, რომლებმაც შეწყვიტეს არსებობაო. სინამდვილეში, მაგალითად, თუშები ქართველური ეთნოსის ეთნოგრაფიული ჯგუფია. ისინი საქართველოში სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველები არიან, რომლებსაც მოიხსენიებენ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასე რომ არ იყოს, მაშინ გამოდის, რომ სომხეთშიც შეუწყვეტიათ ცალკეულ ეთნოსებად ყოფნა შირაქელებს, ლორელებს, ზანგეზურელებს, პოლსეცებს, აპარანებს და ა. შ. ცნობილია, რომ მოსახლეობის აღწერის დროს ეროვნების ჩვენებისას სომეხმა ეროვნების აღსანიშნავად შეიძლება თვითსახელწოდება ჰაი ან სხვა სახელწოდებაც დაასახელოს (ლორელი, ზანგეზურელი და ა. შ.ძ, მაგრამ სპეციალურად ამ მიზნით გამოშვებულ ეროვნების ლექსიკონში მითითებულია, რომ ყველა ესენი სომხებია, ისე როგორც ქართველმა მოსახლეობის აღწერის დროს, იშვიათ შემთხვევაში, შეიძლება ეროვნებად დაასახელოს გურული, ჯავახი, ხევსური, იმერელი და ა. შ., მაგრამ ყველა მათ მინიჭებული აქვს ერთი საერთო კოდი და საალწერო ფურცლების დამუშავების დროს ყველა იწერება ქართველად (Словари национальностей и языков. 1988, с. 12, 14ძ. ასე ესმოდა ეს საკითხი საუკუნენახევრის წინათ რუსეთის იმპერიაშიც. რუსი ჩინოვნიკების მიერ შედგენილ კავკასიის შესახებ სტატისტიკური ცნობების კრებულში გარკვევითაა მითითებული: ქართველების რიცხოვნობის განსაზღვრის დროს თბილისის გუბერნიის მართლმადიდებელ მოსახლეობას უნდა დაუმატოთ ქუთაისის გუბერნიის მართლმადიდებელი მოსახლეობა, ახალციხის მაზრის მაჰმადიანების რიცხვი, რომლებიც ეკუთვნიან ქართველებს, სამეგრელოს მცხოვრებთა რიცხვი, გურულები, სვანები, აგრეთვე თბილისის გუბერნიის მთიულები (თუშები, ფშაველები, ხევსურებიძ, ზაქათალას ოლქში მცხოვრები ინგილოები და ჩრდილო კავკასიაში უმნიშვნელო რაოდენობით მცხოვრები ქართველების რაოდენობა და მთლიანად კავკასიაში ქართველების რიცხვი 900 ათასზე ნაკლები არ შეიძლება იყოსო (Сборник статистических сведений о Кавказе, Тифлис, 1969, с. 23ძ, აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ 1800 წელს საქართველოში დაახლოებით 600 ათასი ქართველი ცხოვრობდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში შავი ჭირის გავრცელების შედეგად ქართველების რაოდენობა თითქმის განახევრდა. ამ პერიოდში შავი ჭირის გავრცელებასთან დაკავშირებით, მაგალითად, ბაგრატ ბატონიშვილი წერდა: შავმა ჭირმა „მოსრნა მრავალნი სულნი ქართლს, კახეთს და იმერეთს, ვიდრე ნახევარ ხალხადმდე" (ბაგრატ ბაგრატიონი. ახალი მოთხრობა. თბ., 1941, გვ. 114ძ. რუსეთის იმპერიაში 1897 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, იმპერიის მაშინდელ საზღვრებში 1352 ათასი ქართველი ცხოვრობდა, მათ შორის კავკასიაში 1350 ათასი, ხოლო საქართველოში 1331 ათასი. ამიტომ, როდესაც ვამბობთ, რუსეთმა დაგვანაწილა ქართველებად, აჭარლებად, იმერლებად და ა. შ., რომელიმე ტვინგახურებული რუსის ნაბოდვარს არ უნდა ავყვეთ. ცნობილი რუსი მეცნიერები, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველების ეროვნულ კუთვნილებას ეჭვის ქვეშ არ აყენებენ. ამასთან, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ თითქმის ფიზიკური წყვეტის პირას მისული ქართველები მე-19 საუკუნეში 3-ჯერ და მეტად გაიზარდა. თუ ობიექტურები ვიქნებით, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ერეკლე II-ის პოლიტიკა რუსეთთან შეერთების საკითხში აბსოლუტურად სწორი იყო. შუა საუკუნეებში ათასი რჯულის მტრებთან გამუდმებული ბრძოლების შედეგად საქართველო ჩამოსცილდა ევროპული განვითარების გზას და ქვეყანაში უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარება შეიქმნა. ამასთან ნ. იაზიკოვის ცნობით, 1770-იანი წლების დასაწყისში ერეკლე II-ს მხოლოდ თხუთმეტიათასიანი ჯარის გამოყვანა შეეძლო. ამ პერიოდში რუსეთი უკვე

დასასრული. დასაწყისი იხ. № 147

აფართოებდა სამხრეთით საზღვრებს და მოიწევდა კავკასიისკენ. მისი შეჩერება კავკასიის ხალხებს არ შეეძლოთ. ასეთ ვითარებაში ყველაზე კარგი გამოსავალი იყო ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში სუსტი სახელმწიფოს ნებაყოფლობითი შესვლა, რაც კიდევაც განხორციელდა 1783 წელს ჩრდილო კავკასიის გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში დადებული ხელშეკრულების შედეგად. მართალია, რუსეთმა შემდეგში დაარღვია გეორგიევსკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ იმპერიას თავისი მიზნები ჰქონდა. დღევანდელი დასახლებიდან, თვითმპყრობელობის არსიდან გამომდინარე, სხვაგვარად მოვლენების განვითარება, ალბათ, არც შეიძლებოდა. რუსეთი საქართველოს უკვე განიხილავდა, როგორც ერთიანი იმპერიის შემადგენელ ნაწილს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მშვიდობიანმა ცხოვრებამ მოსახლეობის გამრავლებასა და საერთოდ ცხოვრების სტაბილურ განვითარებას დაუდო სათავე და ეს არც თუ ისე ცოტას ნიშნავდა. საქართველოში გაიხსნა სკოლები, დაარსდა ჟურნალები და გაზეთები, თეატრები, რუსეთის დახმარებით ქვეყანა აღდგა ადრინდელ საზღვრებში – მას დაუბრუნდა სამცხე-ჯავახეთი და აჭარა, რაზეც ოცნებობდნენ ქართველი მეფეები. აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ქართველმა საზოგადოებამ ამ პერიოდში ვერ უპატრონა სამცხე-ჯავახეთს. აჭარის შემოერთების დროს კი ეროვნული ცნობიერებით გაცილებით მაღლა მდგომ ქართულ საზოგადოებას ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, აჭარაში თურქების 300-წლიანი ბატონობის შედეგად გარკვეულწილად დაკნინებული ქართული სულიერი კულტურის განვითარებისთვის ძალ-ღონე არ დაუშურებია.

მე-19 საუკუნეში საქართველო რუსეთის მეშვეობით ისევ ევროპას ეზიარა ცივილიზაციას. რა თქმა უნდა, რუსეთთან ერთად განვლილი გზა არც მთლად რუსეთისა და არც საბჭოთა პერიოდში არ იყო ია-ვარდებით მოფენილი და ქართველ ხალხს უხდებოდა მეტად მძიმე ბრძოლა ეროვნული ინტერესების დასაცავად, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ 1991 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო ერთიანი ტერიტორიით და ერთიანი ეროვნული შეგნებით დაადგა ქვეყნის დამოუკიდებელი მშენებლობის გზას, ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული რუსეთთან ურთიერთობაში. იმედები მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებზე დავამყარეთ და ვერ გავითვალისწინეთ იმხანად მრავალი პრობლემით დაკავებული მეზობელი ძლიერი სახელმწიფოს – რუსეთის პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ინტერესები, უფრო ზუსტად, სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეშიც ძალიან დამოუკიდებელი განვითარება. ამასთან ერთად, გატარებული თანაცხოვრებიდან მხოლოდ ნეგატიური მოვლენები წამოვწიეთ წინ. მაგალითად, ხშირად იწერებოდა იმის შესახებ, რომ რუსეთმა გაძარცვა ეკლესიები, გაგვიუქმა ავტოკეფალია და სხვ. ძირითადად მოხდა ალავერდის ტაძრის თეთრად გადალესვა, რაც, რა თქმა უნდა, ბარბაროსობა იყო, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ რუს საეკლესიო მოღვაწეს, რომელმაც ასეთი ბრძანება გასცა, უცოდინარობით მოუვიდა – სათანადოდ ვერ შეაფასა ტაძრის შესანიშნავი მხატვრობა. ამასთან გასაზიარებელია ქრისტიანული რელიგიის ისტორიის ცნობილი მკვლევარის გვანცა კოპლატაძის მოსაზრება: **„რუსეთთან, როგორც მართლმადიდებელ ქვეყანასთან ურთიერთობამ მყისიერად იჩინა თავი და პროგრესიც თვალსაჩინო გახდა. დღეს ხშირად ნიშნისმოგებით ამბობენ, მაშინ რატომ გააუქმა რუსეთმა ჩვენი ავტოკეფალია 1811 წელსო. მაგრამ ავიწყდებათ, რომ თავად რუსეთში გააუქმა ავტოკეფალია პეტრე I-მა ერთი საუკუნით ადრე და ეკლესია ობერპროკურორს დაუქვემდებარა. ამიტომ აქ მართლმადიდებლობა არაფერ შუაშია. სხვათა შორის, რუსეთს ავტოკეფალია სტალინმა დაუბრუნა“** (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 მაისი, 2011წ.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში სათქმელი ბევრია, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მოვლენათა ნათელსაყოფად საჭიროა შემდეგი ითქვას: უკანასკნელ წლებში უშუალოდ რუსეთის ხელშეწყობით ქართველებმა გამოაცალკევეს საკუთარი სახელმწიფოდან და ისინი ინტეგრაციის მსხვერპლნი გახდნენ. ამასთან, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთმა სრულიად დაუფიქრებლად უსამართლოდ და არაგონივრული ნაბიჯები გადადგა. მაგალითად, საერთაშორისო სამართლის, გაეროს მიერ აღიარებული პრინციპებისა და თვით რუსეთის მოქმედი კანონების დარღვევით რუსეთმა ოფიციალურად ცნო აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა და ფაქტობრივად იგი კონფლიქტის ერთ-ერთ მხარედ იქცა. რუსეთის მიერ ეს ნაბიჯი არაგონივრული იყო იმიტომ, რომ თვით რუსეთისთვისაც ეს ცუდი პრეცედენტია და ის მას ბუმერანგივით უკან დაუბრუნდება. ქართველი ხალხისთვის ეს მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ 200 წლის განმავლობაში ჩვენმა ხალხებმა უამრავი ჭირი და ლხინი ერთად გამოიარეს, ჩვენი ქვეყნების უბრალო თუ მეტად თვალსაჩინო ადამიანებს ერთმანეთთან არანაკლები მეგობრობა აკავშირებდათ, მართლმადიდებელი სარწმუნოების გამო ცხოვრების წესშიც ბევრი რამ საერთო გვქონდა, ბევრ გამოჩენილ ქართველს რუსეთი გულწრფელად უყვარდა, მას როგორც თავის სამშობლოს ისე აღიქვამდა და მათ უაღრესად მნიშვნელოვანი კვალიც გაავლეს რუსეთის ცხოვრებაში.

**„სასტიკი შიმშილი დაიწყო ჩვენს ქვეყანაში როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა შორის, ისე რომ შეჭამეს ძაღლები და კატები, გვამები, ცხენები, ვირები, ჯორები და აქლემები. აღარაფერი რომ არ დარჩათ, მაშინ თავიანთ ვაჟებსა და ასულებს მიმართეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ... ფარულად და აშკარად ათასი კაცი შეჭამეს... მორწმუნენი ზამთრის ჟამს არარატის გავარიდან აიყარნენ და საქართველოსკენ გასწიეს“.**

**თომა მეწოფეცი.**

მიუხედავად ამისა, ჩვენ გვმართებს რუსეთთან გამოვნახოთ საერთო ენა, გარკვეულწილად გავითვალისწინოთ მათი ინტერესები, რომ ცვალებად მსოფლიოში მოვლენები მეტად სწრაფად იცვლება, რუსეთი კი სამარადჟამო მეზობელია და ამ ფაქტს ვერსად გავექცევით. იმის მოლოდინი, რომ რუსეთი ამჟამად სუსტი სახელმწიფოა და იგი მალე დაიშლება, გულუბრყვილობაა. ეს ასეც რომ მოხდეს, საქართველო კატაკლიზმებს ვერ გადაურჩება და ის მეტად მყიფე დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი რაც გაგვაჩნია, შეიძლება ხელში შემოგვადნეს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გაურკვევლობა და არც თუ უსაფუძვლო საგარეო (მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული პრეტენზიები და რელიგიური ალმსარებლობა და სხვ.ძ და საშინაო (მაგალითად, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ჩვენს ქვეყანაში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარება, რომლის გაჯანსაღებისათვის არაფერი კეთდება, ქვეყნიდან დიდია მიგრაციული ნაკადები და ქვეყანაში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა შემოდინება და სხვ.ძ ვითარება. ამასთან არც თუ სწორადაა მოძებნილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. ამდენად, ისიც საკითხავია, მოვლენების ასეთი მსვლელობა გვაწყობს თუ არა.

დასასრულ, ვუსურვებდი „დიდი სომხეთის“ „დიდ შემოქმედებს“ გონზე მოსვლას, მეზობლების კულტურული ფასეულობების მითვისებისა და მათდამი სრულიად უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიების წაყენების მცდელობაზე უარის თქმას, დიდი სომხური ისტორიკოსებისადმი ყურის დაგდებას, რადგან ჩვენი წინაპრების ურთიერთპატივისცემის მაგალითზე უნდა ავაგოთ ჩვენი მომავალი ურთიერთობები.

**ანზორ თოთაძე**

**◎ მთავარი პრობლემა**

# საქართველო-რუსეთი: გვასწავლა ომმა რამე?

**2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რომელიც სამხრეთ ოსეთის რეგიონის გამო გაჩაღდა, სამი წელი გავიდა და საქართველოსა და რუსეთს შორის სიტუაცია კვლავ მწვავდება. სტაბილურობის აღდგენისა და მყიფე და პოტენციურად ფეთქებადსაშიშ სიტუაციაში პოზიტიური დინამიკის ჩამოყალიბებისთვის, მოლაპარაკებები აუცილებელია. დიპლომატიური ურთიერთობები შეწყვეტილია და მხარეებმა ახლახან შვეიცარიის შუამავლობით რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრებაზე შეზღუდული მოლაპარაკებები დაიწყეს. მიუხედავად ამისა, მხარეებს აქვთ ისეთი საერთო ინტერესები, როგორებიცაა რეგიონალური უსაფრთხოების გაუმჯობესება, ვაჭრობა და ტრანსპორტი და ისინი მოლაპარაკებებს სწორედ ამ საკითხებზე უნდა აწარმოებდნენ, ნაცვლად ურთიერთბრალდებებისა და მტრული რიტორიკისა, რომელიც დიალოგის აღდგენას კიდევ უფრო ართულებს.**

ბრძოლის დასრულების შემდეგ, კომუნიკაციის დეფიციტმა უნდობლობა კიდევ უფრო გააღრმავა. საქართველოსთვის რუსეთი ოკუპანტია, რომელიც მის სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას არყევს. იმ დროს, როდესაც მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს სუვერენული საქართველოს ნაწილად განიხილავს, რუსეთმა ომის დასრულების შემდეგ ორივე რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. არსებული შეფასებებით, მოსკოვს ამ ტერიტორიებზე 7 000-დან 9 000-მდე სამხედრო, უსაფრთხოების და სასაზღვრო ძალები ჰყავს განთავსებული და ორივეგან აშენებს და აღადგენს მუდმივ სამხედრო ბაზებს, რითაც არღვევს 2008 წელს ევროკავშირის შუამავლობით გაფორმებულ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. კონფლიქტის დროს დაახლოებით 20 000 უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანი სახლში დაბრუნებას ვერ ახერხებს და ადმინისტრაციული საზღვრების (ABLsძ გასწვრივ დღემდე უბედური შემთხვევები ხდება.

ჟენევის მოლაპარაკებებმა, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ფარგლებში შეიქმნა და რომლის მიზანიც უფრო უსაფრთხო გარემოს შექმნა და ჰუმანიტარული საკითხების მოგვარება იყო, მხოლოდ უმნიშვნელო პროგრესს მიაღწია. უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინციდენტებზე ინფორმაციის გაცვლის მიზნით შეიქმნა ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი (IPRMძ საქართველოს, რუსეთის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობებს და ევროკავშირის მონიტორინგის მისიას (EUMMძ შორის. თუმცა, მხარეებმა ვერ შეძლეს შეთანხმება უფრო სერიოზულ საკითხებზე, რისთვისაც ჟენევის ფორმატი შეიქმნა, კერძოდ დევნილების დაბრუნებაზე, ხოლო ისეთ ნდობის დეფიციტურ ატმოსფეროში როგორიც დღესაა, ეს მოლაპარაკებები შეიძლება პრაქტიკულად დასრულდეს.

საქართველო აცხადებს, რომ აქვს იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ რუსეთის სპეცსამსახურები ამ ტერიტორიაზე განხორციელებულ აფეთქებების სერიაში მონაწილეობენ. მოსკოვი ბრალდებას უარყოფს, და მწირი მტკიცებულებების მიუხედავად, მისი ზოგიერთი პოლიტიკოსი და ჩინოვნიკი ამტკიცებს, რომ საქართველო საკუთარ შეიარაღებულ ძალებს აღადგენს და აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს ემუქრება, ასევე ეხმარება რუსეთში აჯანყებულ რადიკალ ისლამისტებს. საქართველოს მთავრობამ ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებლებთან დაახლოების მიზნით გარკვეული ნაბიჯები გადადგა, თუმცა პროვოკაციის პრევენციისთვის მან ეს უნდა გააკეთოს მოსკოვთან თანამშრომლობით და არა მისი ნების წინააღმდეგ. ორმხრივი დავა ძალიან პერსონალიზებულია. რუსეთის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილთან არ ითანამშრომლებს. ეს ეფექტი სხვა სფეროებზეც ვრცელდება. საქართველო ბლოკავს რუსეთის განაცხადს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე. ჯაშუშური დაპატიმრებები საქართველოში ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით უნდობლობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას, მაშინ როდესაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადზე ნაკლები დროა დარჩენილი.

მხარეები დიდწილად შვეიცარიელი დიპლომატების დახმარებით ურთიერთობენ. ბერნი უკვე არის შუამავალი მსო-სთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში და მზადაა, ხელი შეუწყოს სხვა ისეთი საკითხების განხილვას, როგორებიცაა მაგალითად ვაჭრობა, ტრანსპორტი ან უსაფრთხოება. საქართველომ და რუსეთმა ომის შემდეგ ხელი მოაწერეს ტრანსპორტთან და ენერგეტიკასთან დაკავშირებულ შეთანხმებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს ბაზა თანამშრომლობის განვითარებისთვის იმ პირობებშიც, თუკი პოლიტიკური ნება შეზღუდულია. საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ნებისმიერი შესაძლებლობის გამოყენებისა და ურთიერთობების ნორმალიზების ხანგრძლივი პროცესის დასაწყებად, მოსკოვმა და თბილისმა:

**— უნდა დაიწყონ პირდაპირი მოლაპარაკებები, წინაპირობების გარეშე, მთელ რიგ საკითხებზე შუამავლის დახმარებით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება იყოს ორივესთვის მისაღები მესამე მხარე. ამან უნდა შეავსოს და არა შეცვალოს ჟენევის პროცესი;**

**— მოუკლონ აფეთქებებსა და ტერორიზმის მხარდაჭერაზე რიტორიკას და დათანხმდნენ ერთობლივ გამოძიებას, ან გამოძიებას, რომელსაც მესამე მხარე ჩაატარებს.**

**ამავდროულად, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სიტუაციის გაუმჯობესებისთვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და ამ რეგიონების ირგვლივ, საერთაშორისო თანამეგობრობამ:**

**— უნდა განაგრძოს მოსკოვზე ზეწოლა, რათა ეს უკანასკნელი დაბრუნდეს 2008 წლის კონფლიქტამდელ პოზიციებზე, ხელი შეუწყოს დევნილების სახლებში დაბრუნებას და დაუშვას ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM) სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე; და მოუწოდოს მხარეებს გაცვალონ ინფორმაცია თავიანთ უსაფრთხოების ძალებსა და მათ მოქმედებებზე ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ.**

**Crisis Group,**
2011 წლის 8 აგვისტო.
თბილისი-მოსკოვი-სტამბოლი-ბრიუსელი



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ომის ხუთი დღე: მკაცრი კონფლიქტი უგმიროდ

**დღეს, როდესაც საქართველო და რუსეთი აღნიშნავენ თავიანთი კონფლიქტის მესამე წლისთავს, რომელიც მოხდა 2008 წელს, ჰოლივუდი უშვებს ფილმს მოვლენათა ქართული ვერსიის მხარდასაჭერად.**

დღეს რუსეთ-საქართველოს ომის მესამე წლისთავია. საქართველოს, როგორც ეს კარგადაა ცნობილი, საზიზღარი ურთიერთობა აქვს თავის ორ სეპარატისტულ რეგიონთან – აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. როდესაც დამოუკიდებლობას ჰპოულობდა საბჭოთა კავშირისგან, საქართველო იბრძოდა ორივესთან, 1989 წელს კი ასევე აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში აგზავნიდა თავის ჯარებს, რომლებიც მთლიანად გამოდევნეს და გაანადგურეს საბჭოთა ჯარებმა.

იმის გამო, რომ ამ ორმა პროვინციამ დახმარებისთვის მიმართა რუსეთს, ამერიკელ პოლიტიკოსებს გაუჩნდათ ტენდენცია დადგნენ ქართველთა მხარეზე – იმიტომ რომ, ხომ ხედავთ, რუსეთი როგორი ცუდია, მიხეილ სააკაშვილმა კი რევოლუციის დროს დაამარცხა ეს ძველი საბჭოთა სტარპერი ედუარდ შევარდნაძე. ამას გარდა, სააკაშვილი საუბრობს ინგლისურად, უყვარს დემოკრატია და ა.შ.

ამ დროს საქართველო მთავრობა სააკაშვილის დროს ახორციელებს ძვირადღირებულ, აქტიურ და ფართოდ რეკლამირებულ საინფორმაცია კამპანიას, რომელიც მიმართულია ამერიკული საზოგადოებრიობისადმი და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი. მათ ნახეს ყურადღებიანი აუდიტორია ამერიკელ მემარჯვენეთა შორის, ვისი სენატორებიც აწყობენ გასართობ მოგზაურობებს ბიუჯეტის ხარჯზე თბილისში და აცხადებენ რუსეთს ახალ ბოროტმოქმედად, რომელიც ამერიკამ აუცილებლად უნდა შეზღუდოს ყველაფერში.

იმის გამო, რომ ამერიკელთა უმრავლესობა, რომელთა ასაკიც 30 წელზე მეტია, იზრდებოდა რუსეთისადმი უნდობლობის სულისკვეთებით, ისინი ძალიან ადვილად შეიძლება მოხვდნენ ამ ქვეყნისადმი სიძულვილის ხაფანგში, ავტომატურად მიიჩნევენ ნებისმიერ ადამიანს, ვინც მოსკოვის წინააღმდეგაა, კეთილ და მართალ ადამიანად. რუსეთ-საქართველოს მტრობა კი ძალიან უწყობს ხელს ასეთ გონებაგანწყობილებას. პირველი შეხედვით, რუსეთი შეიჭრა საქართველოში, დახოცა იქ უამრავი ხალხი, გაანადგურა უამრავი შენობები, შემდეგ კი მოაწყო საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია. ომის ასეთი სიტყვიერი აღწერა არ შეესაბამება სინამდვილეს. ქართველთა მტკიცებანი იმის შესახებ, რომ ომი დაიწყო რუსეთმა, სიცრუეა. დამოუკიდებელმა კომისიებმა შეამოწმეს თავიანთი გამოკვლევანი და მივიდნენ დასკვნამდე, რომ საქართველომ დაიწყო ომი, რომელიც თავდაპირველად ვერ დაამთავრა, მაგრამ ფიქრობდა, რომ ამერიკა დაიკავებს მის მხარეს და თავს დაესხმის რუსეთს. მაგრამ ამ დასკვნებმა გავლენა ვერ იქონიეს ისტერიულ პროქართულ და ანტირუსულ ძახილზე, რომელიც დღესაც გაისმის ვაშინგტონში.

რუსეთი იქცეოდა გაუმართლებლად, როდესაც შეიჭრა, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე და დაიწყო მისი ქალაქების დაპყრობა. მას ამის გამო არანაირი გამართლება არ აქვს. მაგრამ ასეთი გამართლება არა აქვს არც საქართველოს, რომელმაც განურჩევლად გაუხსნა ცეცხლი ცხინვალს და განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ სროლების შედეგად დაიღუპა რამდენიმე რუსი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში.

მე დიდი ინტერესით დავიწყე ფილმის „ომის ხუთი დღის“ სცენარის კითხვა. ეს ფილმი ეხება 2008 წლის ომს საქართველოში. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სურათის თანაპროდიუსერი იყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, ქართველმა სამხედროებმა კი გადაღებისთვის მისცეს საბრძოლო ტექნიკა.



ეს ფილმი ნეიტრალობაზე, დაბალანსებულობაზე და სამართლიანობაზე პრეტენზიასაც კი არ აცხადებს. ყველა ქართველი მასში ძლიერი ჯარისკაცი პროფესიონალია. ყველა რუსი – ბინძური და სისხლისმსმელი ფსიქოპათი, რომლებიც კმაყოფილებას ღებულობენ ყოვლად უცოდველი მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობისგან.

რასაკვირველია, როდესაც ამ სცენებს ვუყურებთ, ჩვენ, ალბათ, უნდა დავივიწყოთ იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობა დაუნდობლად სდევნის და ამწყვდევს ციხეებში ჟურნალისტებს, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებას აკრიტიკებენ. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს ის ახალი ამბებიც, რომლებშიც იტყობინებიან, თუ როგორ ეხვეწება საქართველო ნატოს თავის რიგებში მიღებას. ჩვენ ასევე უნდა გვახსოვდეს რუსეთის ბოროტი მცდელობანი აღადგინოს საბჭოთა კავშირი. რა მიუკერძოებლობაზე შეიძლება იყოს აქ საუბარი?

უეჭველია, შეიძლება სხვადასხვა მხარეს მიაკუთვნო ფილმის დანიშნულება და თავად ფილმი, მაგრამ თუ უგულებელყოფთ ბრძოლების შთამბეჭდავ სცენებს, მაშინ სიუჟეტი უბრალოდ გაქრება. ომის დაწყების კონცეფცია მთლიანად ეწინააღმდეგება ეუთოსა და ევროკავშირის ანგარიშებს იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო ეს ომი. საქართველო ამ ფილმში დაინტერესებულია დავის დიპლომატიური გადაწყვეტილებით, აი ეს საზიზღარი რუსები კი, რომლებიც, სამოქალაქო მოსახლეობის ზურგს უკან, თავს ესხმიან მშვიდობიან ქართულ სოფლებს. სიტყვაც არ არის ნახსენები რუს მშვიდობისმყოფელებზე, რომლებიც დაიღუპნენ სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებათა ოფიციალურ დაწყებამდე, თუმცა ეს იყო მნიშვნელოვანი მიზეზი, რამაც აიძულა რუსეთი შეეყვანა იქ თავისი ჯარები.

ფილმში არის ზოგიერთი საინტერესო მოსაზრება იმის შესახებ, თუ სამხედრო ჟურნალისტები როგორ აღიქვამენ ომს და თუ როგორ მოაბეზრა ამ ომმა მათ თავი. მაგრამ ამაში არაფერია ახალი.

მაგრამ ფილმის – „ომის ხუთი დღე“– შესახებ, შეიძლება ბევრი კარგი რამეც ითქვას. აღმაფრთოვანებელია საქართველოს ხედები. თბილისი მოგვაგონებს კოსმოპოლიტურ ქალაქს შესანიშნავი არქიტექტურით. და სიუჟეტის სცენებიც გაკეთებულია ძალიან კარგად – შეიძლება, ცოტა კარიკატურულიც იყოს, მაგრამ ბოევიკისთვის ეს კარგიც კია. ეს რჩება ქვეტექსტში, მაგრამ ენდი გარსიას მეტყველებაში, რომელიც სააკაშვილის როლს ასრულებს, შეიგრძნობა აშკარა სლავური აქცენტი. თუმცა ყველა მისი მრჩეველი ლაპარაკობს უზადო ამერიკულ ინგლისურად. შეიძლება ეს უბრალოდ ჰოლივუდის შაბლონია. მაგრამ შეიძლება ამაში არის გარკვეული ქვეტექსტიც. სააკაშვილის მთავრობაში ბევრი ამერიკელი მუშაობს მრჩევლად, ინსტრუქტორად და სამინისტროების თანამშრომლად (თავად სააკაშვილი სწავლობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში და მას ფართო ურთიერთობა აქვს ნიუ-იორკის ელიტის წარმომადგენლებთანძ. გაურკვეველია, ეს წინასწარი განზრახვით იყო გაკეთებული თუ შემთხვევით.

ასე რომ, თუ თქვენ შეძლებთ უგულებელყოთ პოლიტიკა, უგულებელყოთ ის ფაქტი, რომ ეს ფილმი არსებითად მთლიანად ქართული პროპაგანდაა, მაშინ „ომის ხუთი დღე“ შეიძლება გახდეს მეტად მიმზიდველ მოთხრობად საბრძოლო მოქმედებების შესახებ, განსაკუთრებით ამ ომის მესამე წლისთავზე. მაგრამ სურათი არ არის ზუსტი ასახვა იმ დღეებში მომხდარისა. ეს არ არის იმ მიზეზების პატიოსანი ანალიზი, რამაც ომთან მიგვიყვანა. თუ სურათზე ვიფიქრებთ, როგორც გასართობზე, მაშინ იგი შესანიშნავია. უბრალოდ... შეეცადეთ არ მიაქციოთ ყურადღება იმას, თუ რისი თქმაც სურთ მის ავტორებს.

The Atlantic

# საზღვრისპირა სოფელი და აგვისტოს ომის ნანგრევები

**საქართველოსგან გამოყოფილი სამხრეთი ოსეთის მახლობლად არსებული სოფლების მცხოვრებლებს დღეს არ ესმით არც სროლის, არც ჭუმბარების აფეთქების ხმები. მაგრამ სოფელ ერგნეთში ნანგრევები და დამწვარი სახლების კედლები გვახსენებენ საქართველოს დანაკარგებს 2008 წლის ომში.**

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში გამოჩნდა 200-ზე მეტი ოფიცერი ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიიდან.

როდესაც დილის ტრადიციული ბრიფინგი დამთავრდა, მეთვალყურეთა ჯგუფი გაემგზავრა სასაზღვრო ხაზის მახლობლად არსებულ სოფელში, რომელსაც ცხინვალი სახელმწიფო საზღვარს უწოდებს, თბილისი კი ხაზს, რომელიც გამოყოფს საქართველოს ტერიტორიას რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონისგან.

მაგრამ მათთვის, ვისი სახლებიც არის საქართველოსგან გამოყოფილი რეგიონის მახლობლად, აგვისტოს ომმა გამოყო არა მხოლოდ ტერიტორია. ადგილობრივთა ცხოვრება დღეს იყოფა 2008 წლის აგვისტომდე და მის შემდეგ.

იმ დროს, როდესაც ხალხი, ვინც საზღვრის ახლოს ცხოვრობს და ცდილობს დაიწყოს ახალი ცხოვრება, 26 ათასამდე სამხრეთი ოსეთის ყოფილი მცხოვრებია, რომლებსაც არ შეუძლიათ დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში, ომის დროს რომ დატოვეს.

ერგნეთში – ერთ-ერთ სოფელში, რომელიც სამხრეთი ოსეთის საზღვართან მდებარეობს – დღეს სიმშვიდეა. ომის შესახებ გვახსენებს მხოლოდ გადამწვარი სახლების გრძელი რიგები.

მერი დვალაშვილი ქალიშვილთან და სიძესთან ერთად ერთოთახიან კოტეჯში ცხოვრობს, რომლის ფართობც 24 კვ.მეტრია. ასეთმა კოტეჯებმა ერგნეთში ბევრს ორსართულიანი სახლი შეუცვალა, რომლებიც მათ ჰქონდათ 2008 წლის აგვისტომდე.

მერი ხედავდა შორიდან, თუ როგორ იწვოდა მისი სახლი 12 რიცხვში. ხუთი დღის განმავლობაში იგი თავის ქმართან ერთად ბნელ ფურნეში ცხოვრობდა.

დიმიტრი დოიჯაშვილი იხსენებს, თუ როგორ უმზერდა იგი თავისი სახლის სახურავიდან ცხინვალს, ცდილობდა დაენახა იქიდან თავისი დის სახლი.

ორი დღის შემდეგ სროლის ხმები ისმოდა უკვე მის სოფელშიც. მან მაშინ დაკეტა თავისი სახლი იმის იმედით, რომ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დაბრუნდებოდა აქ.

დიმიტრის სახლი სოფელში ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურად ითვლებოდა. მაგრამ, როგორც დღეს თავად იგი ამბობს, ეს ყველაზე დიდი დანაკარგია როდია აგვისტოს ომის შედეგად. „ყველაზე ძვირფასი, რაც მე დავკარგე, ეს არის მეგობრული ურთიერთობა მეზობელ ხალხთან. ეს იყო ყველაზე ძვირფასი, – ამბობს დიმიტრი. – დღეს ჩემი სახლი რომ იყოს კიდეც, რა აზრი აქვს ჩემს აქ ყოფნას, თუ აღარ იქნება ეს ურთიერთობანი?“

ევროპის მეთვალყურეთა სიტყვებით, სიტუაცია რეგიონში თანდათან სტაბილური ხდება, მოსახლეობა კი დღეს შეშფოთებულია იმ საკითხებით, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ სიტუაციასთან და არა უშიშროებასთან.

„ჩვენ დიდ უსაფრთხოებასთან აღარ გვიწევს შეტაკება. რასაკვირველია, ყოველდღიურად გარკვეულ პრობლემებს აქვს ადგილი – წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მისიას აქ არაფერი საქმე ექნებოდა. მაგრამ მთლიანად, სიტუაცია, უსაფრთხოების თვალსაზრისით, საკმაოდ სტაბილურია“, – ამბობს ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი თომას ბატერმანი.

მეთვალყურეებს რუხ ჟილეტებში ადგილობრივი მცხოვრებლები იმედით შესცქერიან, მათ ხან ესაუბრებიან პრობლემებზე წყალმომარაგების შესახებ, ხან დახმარების შესახებ დანგრეული სახლების აღდგენაში.

იმ სახლების მფლობელებმა, რომლებიც მთლიანად დაინგრა 2008 წლის აგვისტოში, საკომპენსაციოდ მიიღეს დახმარება 15 ათასი დოლარის ოდენობით. ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებით, ასეთი თანხა გადაეცა ყველას, ვისი სახლებიც აღდგენას არ ექვემდებარება.

მაგრამ ბევრი ერგნეთში კვლავ ერთოთახიან ქოხებში ცხოვრობს. კომპენსაციამ 15 ათასი დოლარის ოდენობით, ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვებით, გადაარჩინა ისინი შიმშილს ომის შემდგომ პირველ წელიწადში, მაგრამ ვერ გადაწყვიტა ბინის პრობლემები. ხალხი იმ წელს უმოსავლოდ დარჩა და ბევრი კვლავ ვერ დაბრუნდა სოფელში, სადაც უამრავი იყო ხეხილის, განსაკუთრებით უხვმოსავლიანი ვაშლის ბაღები.

„აქ მხოლოდ მოხუცები დარჩნენ. ახლა ჯერ კიდევ ზაფხულია, მაგრამ ზამთარში – იყვირე რამდენიც გინდა, ვერავინ გაიგონებს შენს ხმას, – ამბობს ნანა ხატაშვილი. – სახურავებს რომ მაინც გაგვიკეთებდნენ, ხალხი დაბრუნდება. მაგრამ თუ სახელმწიფოსთვის ყველაფერი სულ ერთი იქნება, მაშინ სოფელი აქ მალე უკვე აღარ იქნება, ყველა წავა აქედან“.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**იაპონიის მთავრობამ მარტის მიწისძვრის შემდეგ გადაწყვიტა შექმნას „სარეზერვო დედაქალაქი“**

კომისიას, რომელიც უკვე შემოდგომით დაიწყებს ამ საკითხის განხილვას, კურირებას უწევს მიწის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ტურიზმის სამინისტრო. სარეზერვო დედაქალაქის შექმნის იდეა დაკავშირებულია შიშთან, რომ ტოკიოში ამჟამად კონცენტრირებულია მართვის ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტები. მათი დაკარგვის შემთხვევაში ქვეყანას კრიზისი ემუქრება.

* * *

**ექსპერტები: იანუკოვიჩი ტიმოშენკოს დაპატიმრებით დიდად შეცდა, სიტუაცია სერიოზულ კრიზისში გადაიზარდა**



უკრაინის პრეზიდენტს იმედი ჰქონდა ერთი დარტყმით თავიდან მოეშორებინა თავისი მთავარი მეტოქე პოლიტიკური არენიდან და შეეცვალა გაზის შეთანხმების პირობები რუსეთთან, მაგრამ ყველაფერი კონტროლიდან გამოვიდა. ექსპრემიერის მომხრეები გამოვიდნენ ქუჩაში. დასავლეთი სერიოზულად არის შეშფოთებული, უკმაყოფილოდ „ბუბუნებს“ რუსეთი. ტიმოშენკომ კი მიიღო ახალი პოლიტიკური სიცოცხლე. ამბობენ, რომ „ლედი იუ ზის როგორც დედოფალი“.

* * *

**„ნასამ“ გამოაქვეყნა სატურნის ორი მთვარის უნიკალური ფოტო**



პირველ პლანზე ნაჩვენებია „მინიატიურული“ ტეფია, უკანა პლანზე – უფრო დიდი ტიტანი, სადაც, როგორც დედამიწაზე, არის სითხის მიმოქცევა. ფოტო გადაიღეს კოსმოსური აპარატით ჯერ კიდევ 14 ივლისს, მაგრამ გამოაქვეყნეს მხოლოდ ახლა.

* * *

**მოახლე მსოფლიო სავალუტო ფონდის ექს-ხელმძღვანელის სტროს-კანისგან მოითხოვს ფულს „მკაცრი და სადისტური“ გაუპატიურებისთვის**

სამოქალაქო სარჩელის თანხა ჯერჯერობით არ არის დასახელებული. ნაფისატუ დიალოს ადვოკატები ამტკიცებენ, რომ ფინანსისტი და პოლიტიკოსი „განზრახ, მკაცრად და მხეცურად ცდილობდა მის დიალოს დამორჩილებას“. თავად სტროს-კანი უარყოფს ყველა ბრალდებას და აცხადებს, რომ ის და მოახლე შევიდნენ ინტიმურ კონტაქტში ორმხრივი შეთანხმების შემდეგ.



№ 148. ოთხშაბათი, 10 აგვისტო, 2011 წელი.

**◎ იურიდიული კონსულტაცია**

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

# სამკვიდრო და სამკვიდროს გახსნა

ჩვენს გაზეთში მემკვიდრეობის სამართლებრივ საკითხებზე საუბრის დროს არაერთი მკითხველი გამოგვეხმაურა. ამჯერად, მათ უმრავლესობას აინტერესებს რა არის სამკვიდრო და როგორი წესით ხდება მისი გახსნა. ამიტომ, დღეს სწორედ აღნიშნულ საკითხზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

ქონება, რომელიც მემკვიდრეობით გადადის, სამკვიდროს წარმოადგენს. ამიტომ, მემკვიდრეობის სამართალში ყველაზე აუცილებელ კომპონენტად სწორედ სამკვიდრო ითვლება. იგი არის იმ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა, რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ გადადის მემკვიდრეზე. თუ არ არის სამკვიდრო, არ იქნება მემკვიდრეობაც. უფრო კონკრეტულად, სამკვიდრო შეიცავს როგორც ქონებრივ უფლებებს, ანუ სამკვიდრო აქტივს, ისე მოვალეობებს, ანუ პასივს, რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდრო აქტივისა და პასივის ერთობლიობა სამკვიდრო ქონებას, ანუ სამკვიდროს მასას წარმოადგენს.



**— რა თავისებურებებით ხასიათდება სამკვიდრო ქონების დადგენის ფარგლები?**

**— სამკვიდრო ქონების ფარგლების დასადგენად მიზანშეწონილია რამდენიმე თავისებურების გათვალისწინება:**

**— სამკვიდროში შედის მხოლოდ ის უფლება-მოვალეობები, რომელთა მატარებელი სიცოცხლეში იყო მამკვიდრებელი. თუ უფლება-მოვალეობა მამკვიდრებლის გარდაცვალების შედეგად წარმოიშვა, მათი მემკვიდრეობით გადასვლაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ასეთი უფლება-მოვალეობა მემკვიდრეობით არ გადადის, არამედ ახლად წარმოიშობა სულ სხვა საფუძვლებით, თანაც ამისთვის გარდაცვალებასთან ერთად საჭიროა სხვა იურიდიული ფაქტებიც;**

**— ზოგიერთი უფლება-მოვალეობა არ შეიძლება მემკვიდრეობით გადავიდეს სხვა პირებზე თავისი ბუნების გამო, ან კანონი არ მიიჩნევს შესაძლებლად მათ გადასვლას მემკვიდრეზე;**

**— მემკვიდრეობით შეიძლება გადავიდეს არა მარტო ქონებრივი, არამედ არაქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობებიც.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამკვიდროში შედის მამკვიდრებლის სიცოცხლეში წარმოშობილი მისი კუთვნილი ქონებრივი უფლებები: **საკუთრების უფლება, აღნაგობის უფლება, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და სხვა.** სამკვიდროში შედის ის ვალდებულებებიც, რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნდა და არ შეუსრულებია, მაგ., გაუსტუმრებელი ვალი და სხვა. სამკვიდროში აგრეთვე შედის მამკვიდრებლის წილი საერთო საკუთრებაში. კანონით მემკვიდრეობის დროს სამკვიდრო ქონება რეალურად უნდა არსებობდეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად სამკვიდრო აქტივის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. შეიძლება მამკვიდრებელს ქონება საერთოდ არ გააჩნდა გარდაცვალების დროს და მხოლოდ ვალები დარჩა. ასეთ შემთხვევაში, სამკვიდრო მასა მაინც სახეზეა სამკვიდრო პასივის სახით.

**— შეუძლია თუ არა მამკვიდრებელს ანდერძში გაითვალისწინოს ისეთი ქონება, რომელიც მისი შედგენის დროს არ გააჩნდა და შემდგომ შეიძინა?**

—ანდერძით მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძში გაითვალისწინოს ისეთი ქონება, რომელიც ანდერძის შედგენის დროს ჯერ კიდევ არ გააჩნდა, მაგრამ გარდაცვალებამდე შეიძლება შეიძინოს.

აღსანიშნავია, რომ ყველა სახის ქონებრივი უფლება-მოვალეობა მემკვიდრეობით ურთიერთობებში ერთნაირად არ მონაწილეობს, სამკვიდროში ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ შედის. უპირველეს ყოვლისა, მათ მიეკუთვნება პირადი ხასიათის ქონებრივი უფლება-მოვალეობები. ისინი მამკვიდრებლის პიროვნებასთან ისე ღრმად არიან დაკავშირებული, რომ სხვაზე მათი გადასვლა წარმოუდგენელიცაა. ასეთი უფლება-მოვალეობები მამკვიდრებელთან ერთად კვდება.

სამოქალაქო კოდექსის 1331-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდროში არ შედის და მემკვიდრეთა შორის არ გაიყოფა საგვარეულო წიგნები და ჩანაწერები, ოჯახური მატიანე, სულის მოსახსენიებელი და სხვა საკულტო საგნები, ასევე საფლავი.

**— შედის თუ არა სამკვიდროში ის უძრავი ქონება, რომლითაც მამკვიდრებელმა ანდერძის შედგენის შემდეგ გაზარდა ნაანდერძები?**

— სამკვიდროში არ შედის ისეთი უძრავი ქონება, რომლითაც მამკვიდრებელმა ანდერძის შედგენის შემდეგ გაზარდა ნაანდერძები. ამ შემთხვევაზე კანონი ყურადღებას იმიტომ ამახვილებს, რომ პრაქტიკაში სადავო ხდება იმ ქონების იურიდიული ბედი, რომელიც ნაანდერძებ ქონებას ახლავს და ფაქტობრივად მის გაგრძელებას წარმოადგენს.

მემკვიდრეობითი ურთიერთობების წარმოშობის საწყის ეტაპს სამკვიდროს გახსნა წარმოადგენს. იგი ისეთი იურიდიული ფაქტია, რომელთანაც დაკავშირებულია მამკვიდრებლის ქონებრივ უფლებამოსილებათა შეწყვეტა და სხვა პირებზე მათი გადასვლა. ასეთი ფაქტები შეიძლება სხვადასხვა იყოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ორ ფაქტს იცნობს. ესენია: პირის გარდაცვალება და სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება.

პირის გარდაცვალება სამკვიდროს გახსნის ყველაზე გავრცელებულ და ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს. სიკვდილის მომენტი განისაზღვრება იმ სამედიცინო-ბიოლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რამაც გამოიწვია ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირების სრული შეწყვეტა. თუ ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა დროებით შენარჩუნებულია სხვადასხვა ხელოვნური აპარატის გამოყენებით, სამკვიდრო გახსნილად არ ითვლება.

**— რა დრო ითვლება სამკვიდროს გახსნის დროდ?**

—სამართლებრივი შედეგების მიხედვით პირის გარდაცვალებასთან გათანაბრებულია სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება, აგრეთვე პირის სიკვდილის ფაქტის დადგენა. თუმცა, პირის გარდაცვლილად გამოცხადება ობიექტური ჭეშმარიტების ამსახველად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, მაგრამ იგი მაინც სიკვდილის პრეზუმფციას ემყარება და სამართლებრივად უთანაბრდება გარდაცვალებას. ამდენად, სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე.

თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის მემკვიდრე ცოცხალია, მიიჩნევა, რომ ის უნდა იქნეს აღიარებული სამკვიდროს დამტოვებლის უფლებამონაცვლედ. მაგრამ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ურთიერთმემკვიდრეები, მაგალითად, მეუღლეები, მშობლები და შვილები და ერთდროულად იღუპებიან ექსტრემალურ სიტუაციაში – სატრანსპორტო ან ეკოლოგიური კატასტროფის დროს. შესაძლებელია, მათი გარდაცვალება ერთსა და იმავე მიზეზთან არ იყოს დაკავშირებული. ასეთ შემთხვევებში, მათ შორის მემკვიდრეობითი ურთიერთობები არ წარმოიშობა და სამკვიდრო გაიხსნება თითოეულის შემდეგ დამოუკიდებლად.

გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება სამკვიდროს გახსნა კომლში. კომლის თითოეულ წევრს შეიძლება ჰქონდეს ინდივიდუალური საკუთრება, რომელიც გამიჯნულია კომლის საერთო საკუთრებისაგან. კომლის ბოლო წევრის გარდაცვალება ედება საფუძვლად კომლში სამკვიდროს გახსნას. კომლის საკუთრება მემკვიდრეობით გადადის სამკვიდროს დამტოვებლის უფლებამონაცვლეებზე საერთო წესის მიხედვით, ასევე კომლის ბოლო წევრს შეუძლია ანდერძით გადასცეს ქონება სხვას.

დიდი სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია სამკვიდროს გახსნის ადგილის განსაზღვრას.

**— მოქმედი კანონის თანახმად, რომელი ადგილი ითვლება სამკვიდროს გახსნის ადგილად?**

—სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილია, რომ სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის, მაშინ—სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელი.

**მემკვიდრეთა უფლება-მოვალეობებზე შაბათის ნომერში მოგითხრობთ.**

**ი. ღ.**

**◎ ხვალინდელი დღე**

# საინფორმაციო სივრცე: ტექნოლოგიური ომების მოლოდინი

***ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ინიციატივით, ახალი, სრულიად უჩვეულო პროგრამის დაფინანსება დაიწყო: ამერიკელებმა მთელ მსოფლიოში სათანამგზავრო ტელეფონებისა და მობილური ინტერნეტის სისტემების სრულიად უფასოდ დარიგება გადაწყვიტეს! ოღონდ მათ ყველა კი არა, არამედ ის ხალხი მიიღებს, ვინც თავიანთი მთავრობის წინააღმდეგ გამოდის.***

## სტელს-ამბოხები

ფაქტობრივად შეერთებულმა შტატებმა მსოფლიოს გარდაქმნის ახალი პროექტი დააანონსა. მის განსახორციელებლად მარტო სახელმწიფო დეპარტამენტის ხაზით 70 მილიონი დოლარია გამოყოფილი, თავდაცვის სამინისტროს ხაზით კი – კიდევ 50 მილიონი. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის განსახორციელებლად მთელი ინფრასტრუქტურა უკვე შექმნილია, ეს დიდი ფულია. სტელს-ინტერნეტის ტექნოლოგია არეულობების რაიონებში მსოფლიო ქსელში მყისიერად შესასვლელად საჭირო ანტენიანი ჩემოდნების მსგავს საბაზო სადგურებს შეიცავს. ამის შემდეგ მთავრობები ვეღარ შეძლებენ მოწინააღმდეგეთა იზოლირებას ფიჭური კავშირისა და ინტერნეტის გათიშვით, რომლებსაც ერთმანეთთან და გარემოსთან ავტონომიური კავშირი ექნებათ.

მეორე პროექტს საფუძვლად „Mech Network" ტექნოლოგიები უდევს და იგი მობილურ ტელეფონებს, სმარტფონებსა და პერსონალურ კომპიუტერებს აერთიანებს. მისი მიზანია ცენტრალური კონცენტრატორის გარეშე უხილავი უმავთულო ქსელის შექმნა. ყოველი ასეთი ტელეფონი არაოფიციალური ქსელის გვერდის ავლით მუშაობს, ანუ ავტონომიურად პირდაპირ ადრესატს უკავშირდება.

ასევე ტარდება ექსპერიმენტები „Bleuetooth"-ტექნოლოგიის გამოყენებით: მაგალითად, ასეთი ალტერნატიული ქსელის ყველა ტელეფონზე მნიშვნელოვანი შეტყობინებების დაგზავნა ოფიციალური ინტერნეტ-პროვაიდერის გვერდის ავლით. აღნიშნული ფუნქცია მობილურ ტელეფონებში მხოლოდ და მხოლოდ მიკროპროგრამების მოდიფიცირებას საჭიროებს. ქალაქებში მობილური ტელეფონების დიდი რაოდენობა ამბოხებულთა კოორდინირების საშუალებას იმ შემთხვევაშიც გახდის შესაძლებელს, თუკი არეულობის ადგილებში მობილურ ქსელს საერთოდ გამორთავენ.

## კიბერქსელი

წლეულს ამერიკელებმა კიდევ ერთი ახალი პროექტი წამოიწყეს – ავღანეთში ფიჭური კავშირის ალტერნატიული ქსელი გამართეს, სადაც საბაზო სადგურები სამხედრო ბაზებზე განათავსეს. იმის გამო, რომ ქაბულის მთავრობა დანარჩენ ავღანეთს, ფაქტობრივად, ვერ აკონტროლებს, რეალური ხელისუფლება ძველებურად თალიბების ხელშია, რომლებიც თავიანთი საბრძოლო ოპერაციების დროს ავღანელ ფიჭურ ოპერატორებს თავიანთი სურვილისამებრ თიშავენ. ამის შედეგად, სახელისუფლებო ძალებსა და პოლიციას ერთმანეთთან და ქაბულთან კავშირი მაშინვე უწყდება.

ამასთან, ამერიკელები არც მალავენ, რომ ახალი სამხედრო პროექტის მთავარი მიზანია ჩვეულებრივი მობილური ტელეფონების მეშვეობით თავიანთი აგენტებისგან სადაზვერვო მონაცემების მთელი დღე-ღამის განმავლობაში მიღება.

სტელს-ინტერნეტის პროგრამის დანიშნულებაა ინტერნეტითა და მობილური SMS-ებით შეტყობინებების გაგზავნაზე აკრძალვის გვერდის ავლა, რომელიც ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის სირიამ, ლიბიამ, ეგვიპტემ, ირანმა თავიანთან არეულობის დროს შემოიღეს.

სხვა საქმეა ჩინეთი, რომელიც მსოფლიო ქსელს გაემიჯნა, მთელ ინტერნეტ-ტრაფიკს ფილტრავს და მავნე საიტებს ბლოკავს. საკუთარ ინტერნეტს ირანის ისლამური რესპუბლიკაც ქმნის.

ბუნებრივია, ამერიკელები ამ ფილტრების გვერდის ამვლელი პროგრამების შექმნას ცდილობენ, თუმცა ეს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობას ეწინააღმდეგება: მაგალითად, ირანში ამ სახეობის დაშიფრული ინფორმაციის გადამცემს, როგორც ჯაშუშს, სიკვდილით დასჯიან. ვერაფერ სიკეთეს ასეთი კაცი ვერც ჩინეთში ნახავს... ამდენად, როგორც ჩანს, ქალბატონი კლინტონის ეს ინიციატივა მრავალ ქვეყანაში ბევრს განსასჯელთა სკამზე დასვამს.

## შეტევის საბაბი

თავად ამერიკის შეერთებული შტატები იმავე წესებით თამაშს, რომლებსაც სხვებს სთავაზობენ, როგორც ჩანს, თავად არ აპირებს. ცოტა ხნის წინათ მან განაცხადა, რომ ზეზუსტ ტექნიკას (ფრთოსან რაკეტებსაც კი!) გამოიყენებენ იმ შემთხვევაში, თუ მათი საკუთარი ინტერნეტ-უსაფრთხოება დაირღვევა და ამას „მძიმე შედეგი მოყვება". მაგრამ, საქმე ისაა, რომ იმას, თუ რა უნდა ჩაითვალოს მძიმე შედეგად და როგორ უნდა გაირკვეს ის ინტერნეტ-შეტევა რომელიმე მთავრობის დავალებით განხორციელდა თუ რომელიღაც დამოუკიდებელ ხაკერთა ოინებია, თავად ამერიკელები განსაზღვრავენ.

ვარაუდობენ, რომ მასობრივ არეულობათა დროს მარტო აშშ-ის კონტროლირებადი ფიჭური კავშირების გაშლა ნებისმიერ დემოკრატიულ, ასევე ავტორიტარულ სახელმწიფოს აღაშფოთებს. ამასთან, ამერიკულ წყაროთა ცნობით, „X-საათი" დადგომამდე დისიდენტების გამოსაყენებელი მოდერნიზებული მობილური ტელეფონების მთელი პარტიები დათქმულ ადგილებში უკვე განათავსეს...

## ყოველგვარი ტანკების გარეშე

არსებითად, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები ახალი გამოწვევის პირისპირ აღმოჩნდნენ: თუკი მანამდე ჯაშუშურ არსენალს მხოლოდ პროფესიონალები იყენებდნენ, არეულობების დროს, ფაქტობრივად, მყისიერად, შესაძლებელია ათასობით და ათიათასობით აგენტისგან შემდგარი ქსელების შექმნა. ამ საშიშროების წინ აღდგომის არც ტექნიკური, არც ორგანიზებული შესაძლებლობა დღესდღეობით მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის სპეცსამსახურებს არა აქვთ.

რას უპასუხებენ ამას ნაციონალურ სუვერენიტეტთა დამცველები? პასუხი, ალბათ, მოიძებნება, მაგრამ ეს უკვე ახალი, გააფთრებული საინფორმაციო ომების სამყარო იქნება.

**ირმა ირემაშვილი**

ფეხბურთი




# ნაკრებებში — დანაკლისი, „დინამოში“ — მატება

**დღეს 22 საათსა და 30 წუთზე ქალაქ ლიუბინის „დიალოგ არენაზე“ დაიწყება პოლონეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, რომლის პირდაპირ ტელერეპორტაჟსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგვთავაზებს.**

უკვე გაგაცანით თემურ ქეცბაიას რჩეულთა ვინაობა, თუმცა უკანასკნელ მომენტში „ჯვაროსანთა“ თავკაცმა იძულებითი ცვლილებები განახორციელა. კერძოდ, სავიზო პრობლემების გამო პარტნიორებს ვერ გაჰყვებიან მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველი ჯანო ანანიძე და მახაჩყალის „ანჟის“ მეკარე ნუკრი რევიშვილი, რომლის ნაცვლადაც მეგობარ სახელმწიფოში გუშინ დილით „ზესტაფონის“ გოლკიპერი ზურაბ მამალაძე გაფრინდა.




დღესვე საწვრთნელ შეხვედრას ოთარ გაბელიას ნაამაგარი ჩვენი ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებიც გამართავს, რომელიც კიშინიოვში მოლდოველ თანატოლებს ეთამაშება. სამწუხაროდ, დანაკლისია აღნიშნულ დელეგაციაშიც, რისი მიზეზიც იტალიის „ემპოლის“ თავდამსხმელ ლევან მჭედლიძის ტრავმაა. მართალია, სერიოზული არაფერია, მაგრამ „ამბროსიჩმა“ მაინც არ გარისკა და თავისი გუნდის ერთ-ერთ ლიდერს დასვენების საშუალება მისცა.

***ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების საკადრო პრობლემების ფონზე საპირისპირო სურათია ევროპის ლიგის პლეი-ოფში გასულ თბილისის „დინამოში“, რომელსაც ხისკოს, იაგუესა და კოტოს შემდეგ ამ დღეებში მეოთხე ესპანელი ლეგიონერი შეემატა.***

***ესაა 28 წლის მოიერიშე ნახევარმცველი მიკელ ალვარო, რომელიც უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში სეგუნდა დივიზიონის კლუბ „ნუმანსიას“ სპორტულ ღირსებას იცავდა. მას 11-ნომრიანი მაისური გადაეცა, „თეთრ-ლურჯებთან“ კი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.***

***დებიუტანტის წარდგენისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე „დინამოს“ გენერალურმა დირექტორმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა ისიც განაცხადა, რომ შემადგენლობის შემდგომი გაძლიერება მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ევროპის ლიგის ჯგუფურ რაუნდში მოხვედრა-არმოხვედრაზე.***

***რაც შეეხება თბილისელთა მომავალ მეტოქეს ათენის აეკ-ს, იგი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, 33 წლის სენეგალელი საყრდენი ნახევარმცველის პაპა ბუბა დიოპის გარეშე დარჩა, რომელმაც ოჯახური მდგომარეობის გამო ელადელებთან კონტრაქტი გაწყვიტა და სამშობლოში დაბრუნდა.***

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# ქულათა მაქსიმუმით

**როგორც იცით, ბაქოში მიმდინარეობს პრესტიჟული საჭადრაკო ტურნირი 14 ქვეყნის 73 წარმომადგენლის მონაწილეობით, რომელთა შორისაც 24 ფიდეს საერთაშორისო დიდოსტატია. ისინი სოლიდური საპრიზო ფონდის — 50 ათასი ევროს დასაუფლებლადაც იბრძვიან.**

სასიამოვნოა, რომ „ბრძენთა თამაშის“ 8 ქართველი მიმდევრიდან ერთ-ერთი მიხეილ მჭედლიშვილი 3 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით ლიდერთა კვინტეტში ბულგარელ ივან ჩეპარინოვთან, კუბელ ლაზარო ბრუზონთან, რუს ევგენი რომანოვთან და ბელორუს სერგეი ჟიგალკოსთან ერთად.



ჩვენმა თანამემამულემ აზერბაიჯანელების — რაჯაბოვისა და ალიევის ძლევის შემდეგ ებრაელი სუტოვსკიც დაამარცხა და პოზიციების განმტკიცებას ჟიგალკოსთან პარტიაში შეეცდება.

რაგბი

# ფორუმის წინ



**მოახლოებული მსოფლიო თასის წინ, შესაძლოა, საქართველოს ეროვნული ნაკრები საერთაშორისო რეიტინგში ერთი საფეხურით დაქვეითდეს, თუმცა ამაში საგანგაშო არაფერია — მთავარია, „ბორჯღალოსნები“ ღირსეულად ახალზელანდიურ ფორუმზე გამოვიდნენ.**

რაც შეეხება მოსალოდნელ რეგრესს, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კანადა 13 აგვისტოს დენვერში აშშ-ს დაამარცხებს. ჩრდილოამერიკელ მეზობელთა პირველი მეტოქეობა ამ დღეებში ტორონტოში „ნეკერჩხლის ფოთოლთა“ გამარჯვებით დასრულდა — 28:22, რამაც მასპინძლებს საშუალება მისცა მინიმუმამდე შეემცირებინათ ჩამორჩენა ჩვენს თანამემამულეებთან.

რაგბის საერთაშორისო საბჭოს აგვისტოს რეიტინგის ელიტა სადღეისოდ ასე გამოიყურება: 1. ახალი ზელანდია, 2. ავსტრალია, 3. სამხრეთ აფრიკა, 4. ინგლისი, 5. საფრანგეთი, 6. ირლანდია, 7. უელსი, 8. არგენტინა, 9. შოტლანდია, 10. სამოა, 11. იტალია, 12. იაპონია, 13. ტონგა, 14. ფიჯი, 15. საქართველო, 16. კანადა, 17. აშშ, 18. რუმინეთი, 19. რუსეთი, 20. ნამიბია.

**მანუჩარ გიორგაძე**

კალათბურთი



# არმიელები ევროპას ემუქრებიან

**საკალათბურთო კლუბი „არმია“ სულ ერთი წლის წინათ შეიქმნა, მაგრამ მრავალნაცადმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა თავდაცვის სამინისტროს მესვეურთა სამაგალითო ხელშეწყობით იმავე სეზონში მოასწრო სუპერლიგის, ეროვნული თასისა და სუპერთასის მოგება.**

მალე თბილისელებს დებიუტი საერთაშორისო სარბიელზეც ექნებათ — კერძოდ, ევროჩელენჯის „ბ“ ჯგუფში „ლეიდენთან“ (ჰოლანდია), „გეტინგენთან“ (გერმანია) და ევროთასის კვალიფიკაციის ერთ-ერთ წყვილში „ბეშიქთაშს“ (თურქეთი) და „დექსიას“ (ბელგია) შორის დამარცხებულთან ერთად იასპარეზებენ, მომდევნო ეტაპზე კი I-II ადგილებზე გასულები ითამაშებენ.

როგორც შევიტყვეთ, პრესტიჟულ ტურნირში ჩასაბმელად არმიელები საფუძვლიანად ემზადებიან, რასაც შემდეგი ფაქტი ადასტურებს: 15 აგვისტოდან ახალი თავკაცის, ეროვნული ნაკრების მენეჯერის კოტე ტულუშის განკარგულებაში 32 წლის შვედი ცენტრალური თავდამსხმელი იოაკიმ კიელბომი ჩამოდის. სკანდინაველი გიგანტის სიმაღლე 213 სანტიმეტრია.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

## მესი დაბრუნდა

**როგორც ესპანეთიდან იტყობინებიან, „ბარსელონას“ თავდამსხმელი ლეონელ მესი დაბრუნდა კლუბში და შეუდგა ვარჯიშს.**




არგენტინელმა ფეხბურთელმა თანაკლუბელებთან — თანამემამულე ხავიერ მასკერანოსთან, ბრაზილიელ ადრიანუ კორეასა და ჩილელ ალექს სანჩესთან ერთად მიიღეს დამატებითი დასვენების დღეები, რადგან მონაწილეობდნენ „კოპა ამერიკაში“, კვირას კი მთელ გუნდთან ერთად ივარჯიშეს. და მაინც გავრცელდა ხმები, რომ მესი პირველად მინდორზე გამოვა ესპანეთის სუპერთასზე „რეალთან“, რომელიც მადრიდში კვირას გაიმართება.

## ანტონ სიხარულიძე გაბედნიერდა

**სამწუხაროდ, ფიგურულ სრიალში ოლიმპიურ ჩემპიონს, რუსეთის სათათბიროს სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ანტონ სიხარულიძეს საქართველოში კარგად არ იცნობენ. არადა სწორედ მის ბედნიერებაზე უნდა გაცნობოთ. მან ამ დღეებში ფარულად იქორწინა იანა ლებედევაზე — ცნობილი ოლიგარქის ლეონიდ ლებედევის ქალიშვილზე.**



ჟურნალის „Forbes“ მიერ შედგენილ მსოფლიო მდიდართა სიაში პატარძლის მამა თავისი 2,2 მილიარდი დოლარით 53-ეა. სიხარულიძის სასიმამრო ნავთობმომპოვებელი ჯგუფისა და ელექტროენერგეტიკული კომპანიის „სინთეზის“ აქციონერია. ამას გარდა ლეონიდ ლებედევმა კინორეჟისორ ვალერი ტოდოროვსკისთან ერთად შექმნა კომპანია „კრასნაია სტრელა“, რომელმაც სხვა ფილმებთან ერთად გადაიღო პოპულარული ფილმი „სტილიაგები“.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ფარულად იქორწინაო. სინამდვილეში ქორწილი დანიშნული იყო შემოდგომის დასაწყისისთვის, მაგრამ შეყვარებულებმა აღარ მოიცადეს. ცერემონიამ ზედმეტი მოწმეების გარეშე ჩაიარა. საპატარძლოს ეცვა 70 ათას ევროდ ღირებული საქორწინო კაბა. იმასაც ამბობენ, იანა მეგობრობს მეორე რუსი ოლიგარქის რომან აბრამოვიჩის საყვარელთან დარია ჟუკოვასთანო.

ღმერთმა აბედნიეროთ!

## კოდირებული ბიკინები



**ბრიტანელმა სპორტსმენმა ქალიშვილებმა ზარა დემპინმა და შონა მალლინიმ, პლაჟის ფრენბურთს რომ თამაშობენ, თავიანთ ბიკინებზე მოათავსეს სამატრიცო კოდი Quick Response (QR-კოდი), რითაც გაშიფრულია ბუკმეკერების კომპანიის Betfair საიტი, კომპანია კი ბრიტანელი ფრენბურთელების სპონსორია, თუ კი ერთ-ერთი ქალიშვილის ბიკინის უკანა მხარეს გადაიღებთ, შეგეძლებათ ბუკმეკერების კანტორის საიტზე შესვლა.**

როგორც ბუკმეკერების ამ კანტორის წარმომადგენელი აცხადებს, ეს QR-კოდი პირველად გამოიყენეს რეკლამაში, სპორტული ტანსაცმელზე მოთავსებით, თან იმ ადგილზე მოთავსებით, რომელსაც გულშემატკივრები ყველაზე ხშირად უღებენ სურათს.

დეპინისა და მალლინის დუეტი უძლიერესია ბრიტანეთში. ისინი 2012 წელს ლონდონის XXX ოლიმპიურ თამაშებზე გამოვლენ.

## ჩვენი კარაბადინი

### ვირუსო, დაიძინე!

**დიდი ხნის წინათ მთელ წელზე მქონდა სირსველი (ეს არის კანის ავადმყოფობა ერთგვარი, იცის კანზე წვრილი გამონაყარი, რომელიც ზოგჯერ იქერცლებაძ. მას შემდეგ ვიტანჯები ვირუსული ინფექციისგან. საკმარისია ცოტა ხანს ვიყო მზეზე, რომ მეწყება ძლიერი ტკივილები მკერდში და თავის კანზე. რა წამლები მიშველის? ჩემი პრობლემებით რომელ ექიმს უნდა მივმართო?**

**გიული მ. კასპი**

**გვიპასუხებს ექიმი-დერმატოლოგი ვ.ფერაძე:**



— დაავადებას იწვევს იგივე ჰერპესის ვირუსი, რომელიც ჩუტყვავილას გამომწვევია. მას შემდეგ, რაც ჩუტყვავილა გაივლის, ვირუსი ნერვული სისტემის უჯრედებში იწყებს „თვლემას". „ძილის" პერიოდი შეიძლება წლების განმავლობაში გრძელდებოდეს, მაგრამ საკმარისია დაქვეითდეს იმუნიტეტი (ავადმყოფობასთან, სტრესთან, ხანდაზმულობასთან და ა.შ. დაკავშირებითძ, რომ ვირუსმა „გაიღვიძოს", კვლავ შევიდეს სისხლში და გამოიწვიოს სირსველი მთელ წელზე. ამ სნეულების დროს უნდა მივმართოთ დერმატოლოგს, მკურნალობა მიმდინარეობს მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობით. ჩვეულებრივად იყენებენ ანალგეტიკებს, დამამშვიდებელ და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს, ექიმის გადაწყვეტილებით კი — იმუნომოდულირების წამლებსაც. ასევე აუცილებლად ნიშნავენ ვირუსსაწინააღმდეგო პრეპარატებსაც, რომელთა შემადგენლობაშიც არის ისეთი მოქმედი ნივთიერებანი, როგორებიცაა ახიკლოვირი, ვალაციკლოვირი ან ფამციკლოვირი, რომლებიც სწრაფად ხსნიან გამონაყარს, აჩერებენ ვირუსის გავრცელებას და ამცირებენ ტკივილის სიმწვავეს. კანის დაზიანებული ნაწილისთვის რეკომენდებულია გამოვიყენოთ ე.წ. „ზელიონკა".

### გაუვალობა

**მირჩიეთ, როგორ ვუმკურნალო გაუვალობას?**

**გიორგი ქ. თეთრიწყარო**

**კონსულტაციისთვის მივმართეთ ექიმ-გასტროენტეროლოგს მიხეილ თევზაძეს. მან გვითხრა:**



— კუჭ-ნაწლავთა გაუვალობა შეიძლება წარმოიქმნას სხვადასხვა დაავადებათა ფონზე (აპენდიციტი, მწვავე ქოლეცისტიტი, პანკრეატიტი და ა.შ.ძ, აგრეთვე მუცლის ღრუს ორგანოებზე ოპერაციების შემდეგ. კუჭ-ნაწლავის მექანიკური გაუვალობის მიზეზები შეიძლება გახდეს დაბრკოლებები კუჭ-ნაწლავის ამა თუ იმ ადგილას (შეხორცებები, სიმსივნეები, უცხო სხეულები, თიაქრები, ნაღვლის

## სპეციალისტები გვირჩევენ

ქვებიძ. ნაწლავური გაუვალობის შეტევები შეიძლება მოხდეს ხანგრძლივი შიმშილობის ან ღორმუცელობის დროს (ეგრეთ წოდებული სტანგულაციური ნაწლავური გაუვალობაძ.

ძლიერი ტკივილი და მუცლის შებერილობა, პირღებინება, ძლიერი სისუსტე, ცივი ოფლი, კუჭისა და გაზების გაუვალობა — აი დაავადების ყველაზე ხშირი სიმპტომები. იშვიათად შეიძლება იყოს ფაღარათი სისხლით. ამგვარი სიმპტომების გაჩენის დროს აუცილებელია დაუყოვნებლივი ჰოსპიტალიზაცია. პირველი ექვსი საათის განმავლობაში ნაწლავურ გაუვალობას ჩვეულებრივად მკურნალობენ კონსერვატიულად; უწმენდნენ კუჭს ზონდის დახმარებით, უკეთებენ ოყნას, უყენებენ „წვეთოვანს". მაგრამ უმთავრესად ნაწლავური გაუვალობის მკურნალობისთვის აუცილებელია სასწრაფო ოპერაცია. ჩარევის წინ ავადმყოფს უღებენ მუცლის ღრუს ორგანოების რენტგენულ სურათს, სისხლის ანალიზს — ეს გვეხმარება ზუსტი დიაგნოზის დასმაში. ოპერაციის დროს ჩვეულებრივად კვეთენ ნაწლავის ნაწილს.

### გაუფრთხილდით მხედველობას!

**რას ნიშნავს დიაგნოზი „თვალის ბადისებრი აპკის დისტროფია" და როგორ ვუმკურნალოთ ამ დაავადებას?**

**ნინო თ. სამტრედია**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი-ოფთალმოლოგი სულხან გრიგოლავა:**



— ეს მეტად საშიში და მზაკვრული დაავადებაა, ვინაიდან თავიდანვე ის უსიმპტომოდ მიმდინარეობს. დისტროფიული დაავადებანი — ეს არის თვალის ბადურის აპკის უჯრედების თანდათანობითი კვდომა, რის შედეგადაც ხდება მხედველობის ასევე თანდათანობითი დაქვეითება. პროგრესირებადი დისტროფია იმუქრება თვალის ბადურის გაწყვეტით და მისი დალექვით, რამაც შეიძლება მხედველობის სრული დაკარგა გამოიწვიოს. თავდაპირველად ადამიანი განიცდის მხოლოდ საღამოს ხილვის გაუარესებას, შემდეგ მას რჩება მხოლოდ პერიფერიული მხედველობა. ესე იგი მას შეუძლია დაინახოს საგნების არამკაფიო კონტურები გვერდითი მხედველობით, აი ცენტრში კი გამოსახულება საერთოდ ალარაა. თვალის ბადურის აპკის დისტროფია შეიძლება წარმოიქმნას თვალის ტრავმის, ჰიპერტონიის, თირკმელების, კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებათა, შაქრის დიაბეტის, რევმატოიდური არტრიტის დროს. დაავადება უმთავრესად მემკვიდრეობით ხასიათს ატარებს და სტარტს იღებს ახალგაზრდობის პერიოდში.

თვალის ბადურაში გაცვლითი პროცესების გაუმჯობესებისთვის რეკომენდებულია მივიღოთ პოლივიტამინები, ბიოლოგიური დანამატები (პირველ რიგში ლუტეინიძ და სხვადასხვა სისხლძარღვთა გამაფართოებელი პრეპარატები. ასევე აუცილებელია თავი დავანებოთ მოწევას და დავიწყოთ მზის სათვალეების ტარება. დისტროფიის თანამედროვე მკურნალობა ხდება არგონული ლაზერის დახმარებით, რომელიც ამაგრებს ბადურას, ახდენს თვალის ბადურისა და სისხლძარღვოვანი გარსის შეზრდას.

## მკითხველი კურნავს მკითხველს

### ჯანსაღი დილა

**ზოგჯერ ღამის ცვლაში მიწევს მუშაობა. ამის შემდეგ კიდეც რომ მოვახერხო რამდენიმე საათით წაძინება დღისით, მაინც მოთენთილად და დაღლილად ვგრძნობ თავს. ტონუსში სწრაფად მოსვლაში მეხმარება ბალახის აბაზანა.** აურიეთ ერთმანეთში 100 გრამი ალვისხის ფოთოლი, 50 გრამი ფიჭვის წიწვი, 80 გრამი წითელი ცირცელის ფოთოლი: ნარევს დაასხით 3 ლიტრი მდუღარე წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათის განმავლობაში, გაწურეთ და ჩაასხით აბაზანაში წყლის ტემპერატურით დაახლოებით 40 გრადუსი. აბაზანა მიიღეთ 10-15 წუთის განმავლობაში. პროცედურა დაასრულეთ კონტრასტული შხაპით.

**ე.ს. დუშეთი**

### აბზინდა დალურჯებული ადგილების წინააღმდეგ

**ჩემი შვილიშვილი შვიდი წლისაა. მთელ ზაფხულს ის ჩემთან ატარებს სოფელში. იცით, რასაკვირველია, რომ ბავშვს ერთ ადგილზე ვერ გააჩერებ — ხან ველოსიპედით დაქრის, ხან ხეზე აძვრება, ხან თანატოლებთან ჭიდაობს ან ათასი სხვა რამით ერთობა. ერთი სიტყვით, დალილავებული ადგილები და კოპები არ აკლია. მაგრამ მე მაქვს რეცეპტების მთელი სია ამ შემთხვევებისთვის. გაგიზიარებთ მათ თქვენც.**

●ნატკენ ადგილზე შეშუპების მოსახსნელად შეიძლება მტკივნეულ ადგილზე დაადოთ გულყვითელას (კალენდულასძ ყვავილი ან კომბოსტოს ფოთოლი.

●სილურჯეს სწრაფად ხსნის აბზინდის (პოლინისძ ბალახი. დააქუცმაცეთ ბალახი, გამოწურეთ, წვენი შეურიეთ თაფლს და წაუსვით შეშუპების ადგილზე.

●ჩალურჯების დროს შეუცვლელია ბოლოკი. მის წვენს ურევენ მდოგვის ფხვნილში და აკეთებენ კომპრესს, რომ ჰემატოგემა სწრაფად იქნეს შეწოვილი.

**ც.ცინცაძე, ლაგოდეხი**

### ძილი ზაფხულის ღამით

**ადრე ძალიან მაწუხებდა უძილობა, განსაკუთრებით როცა ზაფხულის ცხელი დღეები იწყებოდა. მაგრამ ახლა უკვე მაქვს ძილის ნატურალური რეცეპტები, რომლებიც მეხმარებიან სწრაფად აღმოვჩნდე მორფევსის (ბერძნულ მითოლოგიაში ძილისა და სიზმრის მომავლინებელი ღვთაება, ძილის ღმერთის — ჰიპნოსის შვილი — რედძ სამყაროში.**

● სვიის გირჩის 2 ჩაის კოვზი წამოადუღეთ ერთ ჭიქა წყალში, შემოახვიეთ ნაჭერი და გააცივეთ 4 საათის განმავლობაში, გაწურეთ. ნაყენი დალიეთ ძილის წინ.

●შეიძლება გირჩებისგან გააკეთოთ ნაყენი. სვიის დაქუცმაცებული გირჩების 1 ნაწილს დაასხით 4 ნაწილი არაყი. გააჩერეთ 2 კვირა ბნელ ადგილას, გაწურეთ. ნაყენის 5-5 წვეთი გახსენით 1 სუფრის კოვზ წყალში და ისე მიიღეთ.



●1 ჭიქა ანწლის დაქუცმაცებულ ფესვებს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღეთ 15 წუთით ნელ ცეცხლზე, შემდეგ გააჩერეთ 30 წუთი, გაწურეთ. ნახარშის 1 სუფრის კოვზი მიიღეთ ძილის წინ.

**გიული იაძე, ქარელი**

### როგორ ავიცილოთ თავიდან ფეხის გაკვანძვა?

**ახალგაზრდობაშიც და ხანდაზმულობაშიც გატანჯული ვიყავი ფეხის გაკვანძვით, განსაკუთრებით ღამღამობით, ზოგჯერ ერთ ღამეში რამდენჯერმეც. იყო შემთხვევები, როდესაც ტკივილისგან გონებაც დამიკარგავს.**

ვიყავი ექიმებთანაც. ვერაფერმა მიშველა.

ერთხელ მეგობართან დავიჩივლე. მან თავისი პაპისგან ნასწავლი ხერხი გამიზიარა. მას შემდეგ ვიყენებ მის რჩევას და ფეხის გაკვანძვას თითქმის ალარასოდეს შევუწუხებივარ.მინდა გირჩიოთ, ვისაც ეს გაწუხებთ.

● ყოველ საღამოს 3-5-ჯერ ე.წ. ფეხის მუცელზე აუსვით და ჩამოუსვით ორივე ხელი მაგრად, შემდეგ კუნთები დაიზილეთ დაახლოებით 20-30 წამის განმავლობაში.

● თუ, ყოველ შემთხვევაში, ფეხის კუნთი მაინც გაგენასკვათ, უმალვე ტერფი ასწიეთ მაღლა მკვეთრად.

**ზ.შალვაძე, ჭიათურა.**

## ინფორმაცია

### არჩევნების შედეგები გააუქმა



თბილისის საქალაქო სასამართლომ გააუქმა მხატვართა კავშირის თავმჯდომარის არჩევნების შედეგები, რომლის შედეგადაც, კავშირის თავმჯდომარედ 2011 წლის 12 თებერვალს გია ბუღაძე აირჩიეს.

გადაწყვეტილება მხატვართა კავშირის თავმჯდომარეობის დავასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ასმათ კოხრეიძემ გამოაცხადა. სარჩელი არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოში მხატვარმა გურამ ცერცვაძემ შეიტანა.

გურამ ცერცვაძე სარჩელის თანახმად ითხოვდა, არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას და არჩევნებში მისი კანდიდატურის გამარჯვებულად გამოცხადებას. მოსამართლემ სარჩელის მხოლოდ პირველი ნაწილი დააკმაყოფილა.

— საქმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ არჩევნები ჩატარდა პროცედურული საკითხების დარღვევით. კერძოდ, გია გუგუშვილს არ ჰქონდა უფლება მის სასარგებლოდ მიცემული ხმები გია ბუღაძისთვის დაეთმო, რაც გახდა ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი, — განაცხადა ასმათ კოხრეიძემ.

საქართველოს მხატვართა კავშირის მე-15 ყრილობამ 2011 წლის 12 თებერვალს კავშირის თავმჯდომარის არჩევნები ჩაატარა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სამმა კანდიდატმა. არჩევნების შედეგად 131 ხმა მიიღო გია ბუღაძემ, 134 ხმა გურამ ცერცვაძემ, გია გუგუშვილმა კი — 7 ხმა. თუმცა, გია გუგუშვილმა საკუთარი ხმები დაუთმო გია ბუღაძეს, რის შედეგადაც გია ბუღაძე კავშირის ახალ თავმჯდომარედ გამოცხადდა.

### რუსმა სამართალდამცავებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა ქალაქ ტემრიუკში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს მინისტრის თავმჯდომარის მოადგილის მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს. დაკავებულმა 2010 წლის 10 სექტემბერს მოსკოვის დასავლეთ ნაწილში მდებარე სასტუმრო „უკრაინასთან" აჭარის ექს-მინისტრის მოადგილეს ელგუჯა ჯინჭარაძეს ესროლა.

ფაქტზე „მკვლელობისა" და „იარაღის უკანონო ბრუნვის" მუხლით აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე. დადასტურებული მონაცემებით, ჯინჭარაძეს 38 წლის სოჭის მაცხოვრებელმა ესროლა, რომელზეც ფედერალური ძებნა იყო გამოცხადებული.

### ავტოსაგზაო შემთხვევას 25 წლის ბიჭის სიცოცხლე ემსხვერპლა

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა. „კრაისლერისა" და „ფოლკსვაგენის" მარკის ავტომანქანების შეჯახების შედეგად „ფოლკსვაგენში" მჯდომი 25 წლის ახალგაზრდა ადგილზე დაიღუპა, 16 წლის ბიჭი და ერთი მამაკაცი კი მძიმედ დაშავდნენ.

დაშავებულები ლაგოდეხის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. — 16 წლის ბიჭს თავის ქალა და ტვინი ჰქონდა დაზიანებული. გახეთქილი ჰქონდა ასევე ელენთა და აღენიშნებოდა სხვა ტრავმები. ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, გამოვიძახეთ იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის კატასტროფის მედიცინის ცენტრის ბრიგადა და თბილისში გადაიყვანეს. დაშავებული მამაკაცი კი ლაგოდეხში, კერძო კლინიკაში გადის მკურნალობას, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ლაგოდეხის რაიონული საავადმყოფოს დირექტორმა ია ლაცაბიძემ.

წინასწარი ინფორმაციით, „კრაისლერის" მძღოლი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას ლაგოდეხის პოლიცია აწარმოებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

უახლოესი მეგობრები აკაკი ჩიქოვანი, გივი გურეშიძე, შოთა ცისკარიშვილი იუწყებიან კარლო კერესელიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 11 VIII, 15 საათზე, თამარაშვილის 2ა.



## ფრაზები

# სხვადასხვა დროს გაგონილი

● ვინც იხდის, არა მარტო უკვეთავს მუსიკას, არამედ მოსმენასაც გაიძულებს.

● არცრა მოასწავებდა ტრაგედიას: არც მოედანზე შეკრებილი ხალხი, არც ეშაფოტზე მდგარი ჯალათი და არც ნაჯახი, რომელიც ჯალათს ხელში უელავდა.

● პოლიტიკა სუფთა ხელებით უნდა ვაკეთოთ, ხოლო მერე დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა ვიბანოთ ხელები.

● პირველწყაროს ერთი ნაკლი აქვს: იშვიათად თუ ვინმემ იცის.

● ცხოვრება კი ყოველდღე გვასწავლის, მაგრამ ჩვენ მაინც განათლებას ვესწრაფვით.

● ის ამაყად თავაწეული იყო მუხლებზე დაჩოქილი.

● მარჯვნივ წახვალ — ჩიხში შეხვალ, მარცხნივ წახვალ — იქიდან ველარ გამოხვალ.

● შეუძლია თუ არა ადამიანს, რომ პატიოსნად იცხოვროს? შეუძლია! მაგრამ ვინ დაუჯერებს?

● ახლა ზოგიერთებს იმის მიხედვით კი არ აფასებენ, რამდენს იძლევიან, არამედ იმის მიხედვით, რამდენს იღებენ.

● ლიტერატურულ გმირს განსასჯელის სკამზე ვერ დასვამენ, სამაგიეროდ ავტორს ჩასვამენ.

● ხან საყვარელი ქალის გულ-მკერდს ეალერსები და უცებ ვიღაცის ხელს წააწყდები ხოლმე.

● ფულს სიწყნარე უყვარს, მოპარულ ფულს — სამარისებური სიწყნარე.

● გრძელი ფეხები გასაფშეკად სასიამოვნოა.

● შენ უბრალო დიაგნოზი თქვი, თორემ ბრალიან წამლებს რა გამოლევს!

## დაიჯესტი

### ცელსიუსის ბიბლიოთეკა



**ძველი მსოფლიოს ისტორიაში, ცეცხლის ალში დაფერფლილი ალექსანდრიის ბიბლიოთეკის შემდეგ სიდიდით მეორე, ისტორიკოსთა ცნობით, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებული ცელსიუსის ბიბლიოთეკა იყო.**

არსებული ცნობებით, რომის იმპერიის დროიდან შემორჩენილ ამ უმშვენიერეს ბიბლიოთეკაში, რომელიც დღესაც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, 12 ათასი ხელნაწერი ინახებოდა. ბიბლიოთეკაში წიგნსაცავის გარდა ასევე ტიბერიუს იულიუს ცელსიუსის აკადემიაც მოქმედებდა, რომლის პატივსაცემად მის სახელს ატარებს. ეს ფასდაუდებელი ნანგრევები ძველი რომის არქიტექტურული შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

### ეს ზედმეტად „მოწყალე“ ვოდიანოვა

**თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კონკიის ნატალია ვოდიანოვას ამბავი, რომელიც ინგლისელმა არისტოკრატმა, მილიარდერმა ლორდმა ჯასტინ პორტმანმა რუსეთის ყრუ პროვინციაში ვაგზალზე ნახა, სადაც ქალიშვილი ზამთარში ცხელ ღვეზელებს ყიდდა, დღესაც მსოფლიოს მასმედიის ყურადღებას იპყრობს. ცნობისმოყვარეობას აღვივებს ჭორები იმის შესახებ, რომ მოარული ცნობილი მოდელი და ლორდ პორტმანის სამი შვილის დედა ნატალია, რომელმაც ტრიუმფით დაიპყრო დიდი ბრიტანეთის მაღალი საზოგადოების სალონები, ქმარს გაეყარა...**

ეს ჭორები უკვე ორი წელია ვრცელდება, მაგრამ ბოლო დრომდე ცოლ-ქმარი ამ ინფორმაციას ერთხმად უარყოფდა. ამის წინააღმდეგნი არც ჟურნალისტები იყვნენ, ვინაიდან მათ მკითხველთა უმრავლესობას გულით სურდა, რომ კონკიას ამბავს ბედნიერი დასასრული ჰქონდა, მაგრამ...



— ჩვენ მართლა დავცილდით ერთმანეთს რამდენიმე ხნის წინათ და ეს სამწუხარო ამბავია, — ეს ფრთხილი განცხადება ნატალია ვოდიანოვამ ჟურნალ ES Magazine-ს ჟურნალისტთან საუბრისას გააკეთა. — მე და ჯასტინი ვცდილობთ მაქსიმალურად მეგობრულად მოვექცეთ ერთმანეთს, რათა ბავშვებს გული არ ვატკინოთ. საერთოდაც, ეს ამბავი მარტო მე და ჩემს ქმარს გვეხება. ამიტომ ამაზე ლაპარაკი არ მსურს.

ჯასტინ პორტმანი, რომელსაც ნატალია ვოდიანოვასთან სამი შვილი ჰყავს — 9 წლის ლუკასი, 5 წლის ნევა და სამი წლის ვიქტორი, ვიკონტ პორტმანის, დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცის მემკვიდრეა, რომლის ქონება 1,2 მილიარდ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. ღარიბი ახლა არც თავად ნატალია ვოდიანოვას ეთქმის, რომელმაც მოდელობით 15-მილიონიანი ქონება დააგროვა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, შეყვარებულია თუ არა ამჟამად, ნატალიამ უპასუხა: „დიახ, თანაც ძალიან“, მაგრამ სატრფოს ვინაობის გამხელა არ ისურვა. მის შესაძლო საყვარელთა შორის რამდენიმე კარგი გარეგნობის მამაკაცს, მაგალითად, მსახიობ ჯონათან რის-მაიერსს და ფოტოგრაფ სკოტ დუგლასს ასახელებდნენ, მაგრამ ყველაზე მეტად ეჭვი რუსეთის ტელევიზიის პირველი არხის რეჟისორ ანდრეი ბოლტენკოზე ჰქონდათ, რომელთან ერთად მოსკოვში ნატალია ხშირად უნახავთ საკმაოდ ინტიმურად ჩახუტებული. თუმცა ბოლო დროს ტოპმოდელი ძალიან ხშირად ჩნდება სერბი ფინანსისტის ალექსანდრ პეშკოს საზოგადოებაში და, როგორც ვარაუდობენ, სწორედ მისი სახელის გამჟღავნება არ ისურვა ვოდიანოვამ.

### დიდი ქალაქის ხმაური



**დიდ ქალაქებში სიჩუმე სუფთა ჰაერივით ხელმიუწვდომელი ფუფუნებაა. თურმე ყველაფერი, რაც მოგვუდულ მშვიდ საუბარზე ხმამაღლა გვესმის, ეს კი 40 დეციბელია, ყურთა სმენისთვის დისკომფორტია. თუმცა, სმენა ამასაც გაუძლებდა, რომ არა სხვა საფრთხე: ტრანსპორტის ხმაური, ხმამაღალი მუსიკა, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა ხმები ერთიან ხმაურიან ფარდად გადაიქცა, რომელიც თანდათანობით არყევს ჩვენს ჯანმრთელობას. მეტიც: თუ კაცს ღამის ძილის დროს უცაბედი ხმაური გამოაღვიძებს, უბედური შემთხვევის რისკი 46 პროცენტით იზრდება. ხმაური, რომლის დროს შესაძლოა აკუსტიკური ტრავმის მიღება — 120-165 დეციბელია, სასიკვდილო დოზაა 180 დეციბელი, ხმაურის იარაღი, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნები ამუშავებენ, დაახლოებით 200 დეციბელის სიმძლავრისაა.**

ამასთან, 65 დეციბელზე მეტი ხმაურის დროს ადამიანს გულის რითმი ერღვევა და პულსი უჩქარდება. 80-90 დეციბელის ხმაურიან ადგილზე ხანგრძლივ ყოფნისას კი ადამიანს ისეთივე პაროქსიზმული ტაქიკარდია ემართება, რომელიც პანიკური შეტევის დროსაა დამახასიათებელი.

სხვათა შორის, სრული (20 დეციბელზე ნაკლები) სიჩუმე, გავრცელებული აზრის მიუხედავად, არცთუ ძალიან სასარგებლოა, იმიტომ რომ სმენადაქვეითებულ კაცსაც ამ დროს სისხლძარღვებში საკუთარი სისხლის მოძრაობა და გულისცემა ესმის.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ათიდან სამი მამაკაცი ქორწინების პირველ ღამეს ღრმა ძილში ატარებს, ანუ არავითარი მძაფრი ვნებები.

● დამტკიცდა, რომ მამაკაცების უმრავლესობა 22-დან 30 წლამდე წონაში 7-დან 13 კილოგრამამდე იმატებს; 3-5 კილოგრამამდე მეტს იმატებენ ისინი, ვინც მოასწრო და ცოლი მანამდე შეირთო, სანამ მომატებას დაიწყებდა.

● განქორწინების ინიციატორები შემთხვევათა 68%-ში ქალბატონები არიან. მამაკაცს შეიძლება ძალიანაც უნდოდეს ოჯახის დანგრევა, მაგრამ თანდაყოლილი კონსერვატიზმი არ მისცემს ამის უფლებას, თანაც იმ ოჯახებში, სადაც ცოლები ლიდერობენ, განქორწინებათა რიცხვი სამჯერ ნაკლებია.

● ძველად მას მანძილით ზომავდნენ და მისი ერთი ერთეული ოთხი მთელი და რვა მეათედი კილომეტრის ტოლი იყო. თუმცა ასეთი ფორმულირება ახლა გაოცებასა და დაცინვას გამოიწვევს, რადგან ის,რაც მაშინ კილომეტრებში იზომება, იყო დრო, — ადამიანი ერთ საათში 4,8 კილომეტრს გადიოდა ფეხით.

● 1897 წელს ჩინეთში ვინმე დე ვილიარმა მარკების სერია გამოუშვა და ექვს მათგანზე გამოსახული იყო დრაკონი. გამომცემელი ტიბეტში გადაასახლეს მარკების ფერის გამო, რადგანაც ისინი წითელი იყო, რაც მაშინ საიმპერატორო ფერად მიიჩნეოდა და მილიონი ადამიანის შეხებას არ უნდა შეებღალა.

● სამკურნალო საქმის მფარველად ერთ დროს მიიჩნეოდა ესკულაპი, სამჭედლო საქმის მფარველად — ჰეფესტო, მეცნიერების მფარველად — ათენა, ხოლო ღმერთების წარმოგზავნილი ჰერმესი კი — საფოსტო გზავნილების მფარველად.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

## ანეკდოტები

ავადმყოფი მეღდას ეჩხუბება:

— რა არის ეს, რა საზიზღარი წამლები მომიტანეთ?

— რა წამლები ბატონო, ეს თქვენი სადილია!

* * *

ქობულეთში დასასვენებლად წასული ცოლი უგზავნის დეპეშას თავის რაჭაში დარჩენილ ქმარს:

„შენ მაინც ყველას ჯობიხარ, ჩემო რაჟიკუნა! გკოცნი“.

* * *

— ექიმო, რამდენად სერიოზულია ჩემი დაავადება? — ეკითხება გურულ ექიმს პაციენტი.

— მე რომ შენს ადგილას ვიყო, ახალი სერიალის ყურებას არ დავიწყებდი, ძამა!

* * *

ქუთაისში ქალების აბანო იწვის. კაცები შორიახლო დგანან და ტკბებიან სანახაობით, როგორ გამორბიან ალმოდებული შენობიდან



შიშველ-შიშველი ქალები. უცებ მათ შორის ჭიჭიკიამ თავისი ცოლი შენიშნა და უყვირის:

— ხელი ეიფარე, ქალო, ხელი! — ქალმა ხელი აიფარა ინტიმურ ადგილას.

— სახეზე აიფარე, შე შტერო, სახეზე, თვარა წელს ქვემოთ ყველანი ერთნაირები ხართ!

* * *

მძიმე ავადმყოფი კახელი ქმარი ლოგინში წევს, ცოლი გვერდით უზის და წერილს წერს: — შაქრო, შემატყობინე, რომელია სწორი „დაკრძალვა“ თუ „დასაფლავება“?

* * *

მძღოლი ნერვიულად მიმართავს ქრთამის ამღებ პოლიციელს:

— თუ შეიძლება, დროზე, თორემ შენი კოლეგები დამეწევიან!

* * *

ახალგაზრდა მეგობართან ტრაბახობს:

— — ჩემს დობერმან-პინჩერს ციგურებით სრიალი ვასწავლე!..

— რას ამბობ, ბიჭო, ეს დობერმანი კი არა, ბოქსიორია!

— დობერმანია, დედას გეფიცები, უბრალოდ ციგურებით სრიალის დროს გაჩერება ვერ ისწავლა და...

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24